ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 13 დეკემბერი 2002 №238 (1760) | ფასი 50 თეთრი




# ჯვრისწერა ჟენევაში

## უეფამ თავი არ აიტკივა: ევრო 2008 კარგ ოჯახს ჩააბარა

გუშინ ჟენევაში უეფას აღმასკომმა ასე განსაჯა და დაადგინა: ექვსი წლის მერე ევროპის ჩემპიონატს ავსტრია და შვეიცარია უმასპინძლებენ.

ექვსი წლის მერე, როცა საქართველო დალაგებული ქვეყანა იქნება და ევროკავშირში შევა, არაკორუმპირებული ქართველები შვებულებისას უვიზოდ წავლენ ავსტრიასა და შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების საქომაგოდ, რომელსაც იმ დროისთვის აღარ ეყოლება დაკარგული თაობის ფეხბურთელები და ეყოლება საქმეში გამოცდილი, მრავალ ჯილდოთა მომგები მწვრთნელი.




REUTERS

და თუ ასე არ მოხდა?

მაშინ ისევე ვიჯდებით ჭაობში, როგორც დღეს, ისევე ვიოცნებებთ ნათელ მომავალზე, როგორც ექვსი წლის წინ და ცალ თვალს გავაპარებთ იქ, სადაც იმ დროს ფეხბურთს ითამაშებენ — ცხადია, უჩვენოდ.

# ფეხბურთშიც!

## ოთხი სახლი საირმეზე, დანარჩენი ქოხმახები

ავად თუ კარგად, ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა. თებერვალ-მარტის გასაყარზე ლიდერები და მაჩანჩალები უკვე ცალ-ცალკე გააგრძელებენ ბრძოლას და კაცმა არ იცის, ცხრილი საბოლოოდ როგორ დალაგდება, მაგრამ იმავე ცხრილის თანახმად, ზე და ქვეექვსეულებს შორის უძირო უფსკრულია. ლიდერი აუტსაიდერს 43 ქულით უსწრებს, ხოლო ბოლო ექვსმა გუნდმა დაწინაურებულ ორეულზე ოდენ 6 გოლით მეტი გაიტანა.

ისე, ჩემპიონობის მაძიებლობაზე თუ მიდგა საქმე, ზეექვსეულის ნაცვლად სჯობს, ზეოთხეულზე ვილაპარაკოთ — „სიონი" და „კოლხეთი" წინ გაჭრილი ოთხეულის დამწევები არ არიან. სხვათა შორის, იმ ოთხის — „დინამო", „ტორპედო", „ლოკომოტივი", „ვიტ ჯორჯია" — გარდა, დარჩენილ რვავე გუნდს ბურთების უარყოფითი შეფარდება აქვს.

ფაქტები ფაქტებად, მაგრამ მათ ჩამოთვლას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, დასკვნებისთვის თუ გამოიყენებ. და თუ გავიხსენებთ, რომ ნაქებ ოთხეულს უცხოელი მწვრთნელები ჰყავს, უფულობაზეც არ წუწუნებენ, საფეხბურთო მეურნეობაც მეტნაკლებად გაუმართავთ და მოთამაშეებსაც კაპიკებში არ ელევიან, ანუ მომავალზე ფიქრობენ, დასკვნების გამოტანა ძალიან იოლი ხდება.




REUTERS

ლივერპული — ვიტესი 1:0. დენი მერფი ჰოლანდიელთა მეკარეს ბურთიანად გადააფრინდა

# ვენეიბლზი: შიდსი ლიდსისთვის

## ოლირის მერე იორკშირელებს იმუნიტეტი დაუქვეითდათ

UEFA CUP

დღეს შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში წილისყრაა: უეფას თასს შემორჩენილი 16 გუნდი სამერვედფინალოდ დაწყვილდება და იქვე სამეოთხედფინალო ბადესაც შეადგენენ.

მერვედფინალის მატჩები გაისად, 20 და 27 თებერვალს გაიმართება, მეოთხედფინალისა კი 13 და 20 მარტს.

დღევანდელ წილისყრას კი წინ უძღოდა გუშინდელი მატჩები, რომლებმაც ძირითადად უხმაუროდ ჩაიარა, თუმცა ერთი-ორი მოულოდნელი შედეგი კი გამოერია.

„ლიონი" შინ დამარცხდა „დენიზლისპორთან" და მთავარი მოულოდნელობაც ეს იყო. ისე, გუშინდელი დღე მთლიანად საფრანგეთისთვის გამოდგა შავი — ერთბაშად ოთხი იქაური გუნდი გავარდა.

„ლიდსი" ასევე შინ დამარცხდა „მალაგასთან", მაგრამ კაცმა რომ თქვას, ტერი ვენეიბლზის გუნდს ხომ, რა ხანია, ყველა უგებს.

და როგორც მოსალოდნელი იყო, უეფას თასს დაემშვიდობა ბოლო ქართველიც დავით მუჯირის „შტურმს" რომში „ლაციოსთან" გამარჯვება გასახელელად არ ეყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP

## 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ლაციო** (იტალია) 0:1 **შტურმი** (ავსტრია) (3:1)
0:1 საბიჩი (87)
შტურმი: ვებერი, შტრაფნერი, ნოიკირხნერი, ბოსნარი, მასუდი (მელდტი 62), კორსოში, ზაუმელი, ვეტლი (რაუტერი 74), ანგანი, საბიჩი, ნ. ამოა (დ. მუჯირი 74)
მწვრთნელი: ფრანკო ფოდა
მსაჯი: პოლ ალერი (ბელგია)
45 000 მაყურებელი

**ფულჰემი** (ინგლისი) 0:0 **ჰერტა** (გერმანია) (1:2)

**ლიონი** (საფრანგეთი) 0:1 **დენიზლისპორი** (თურქეთი) (0:0)
0:1 მუსტაფა (5)

**პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 1:0 **ლიბერეცი** (ჩეხეთი) (2:2)
1:0 ფისასი (2)

**ოსერი** (საფრანგეთი) 2:0 **ბეტისი** (ესპანეთი) (0:1)
1:0 ტაინიო (18), 2:0 ლაშუერი (48)

**ლივერპული** (ინგლისი) 1:0 **ვიტესი** (ჰოლანდია) (1:0)
1:0 ოუენი (20)

**დინამო** (კიევი, უკრაინა) 0:0 **ბეშიქთაში** (თურქეთი) (1:3)

**ლიდსი** (ინგლისი) 1:2 **მალაგა** (ესპანეთი) (0:0)
0:1 დელი ვალდესი (14), 1:1 ბაკე (23), 1:2 დელი ვალდესი (80)

**სლავია** (ჩეხეთი) 4:0 **პაოკ** (საბერძნეთი) (0:1)
1:0 სკაჩელი (13), 2:0 ვახოუშეკი (51), 3:0, 4:0 კუკა (89, 90)

**შტუტგარტი** (გერმანია) 1:0 **ბრიუგე** (ბელგია) (2:1)
1:0 გლები (90)

**ანდერლეხტი** (ბელგია) 2:2 **ბორდო** (საფრანგეთი) (2:0)
1:0 დინდანე (28), 2:0 იესტროვიჩი (65), 2:1, 2:2 დარშევილი (83, 90)

**სელტა** (ესპანეთი) 2:1 **სელტიკი** (შოტლანდია) (0:1)
1:0 ხესული (22), 1:1 ჰარტსონი (36), 2:1 მაკკარტი (53)

**ლანსი** (საფრანგეთი) 1:0 **პორტუ** (პორტუგალია) (0:3)
1:0 რ. სონგი (28)

**მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) 1:4 **აეკ** (საბერძნეთი) (0:4)
1:0 ბადირი (53), 1:1 კაცურანისი (56), 1:2, 1:3 ლაკისი (80, 89), 1:4 ნალიცისი (90)

**ბოავიშტა** (პორტუგალია) 1:0 **პსჟ** (საფრანგეთი) (1:2)
1:0 ელპიდიუ სილვა (55)



ოსერი — ბეტისი. მარკოს ასუნსაოს დარტყმული ბურთი ფრანგულ კედელს ვერ ასცდა



ლაციო — შტურმი. რომაელმა ფაბიო ლივერანიმ იურგენ ზაუმელს ფეხი დაუჭირა



ლივერპული — ვიტესი. მაიკლ ოუენმა ჰოლანდიელებს სტუმრადაც გაუტანა და შინაც



ტერი ვენეიბლზის „ლიდსი" ვერც პრემიერლიგაში ვარგობს და გუშინ უეფას თასსაც დაემშვიდობა



შტუტგარტი — ბრიუგე. გერმანელთა ბელარუსმა ალექსანდრ გლებმა გამარჯვების გოლი ასე იზეიმა

## კალათბურთი

# ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 12 დეკემბერი

**A ჯგუფი**
ეფესი 74:62 ალბა
აეკ 69:71 ციბონა

**C ჯგუფი**
ვილერბანი 74:88 კინდერი
ოლიმპიაკოსი 78:71 შლიონსკი

**B ჯგუფი**
მაკაბი 69:72 ტაუ
ჟალგირისი 74:100 სიენა
ოლიმპია 83:82 უნიკახა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. C ჯგუფი

## დორტმუნდი 0:1 მილანი

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". 52 000 მაყურებელი. მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

0:1 ინძაგი (49)

| | |
|---|---|
| ლემანი, ჰაინრიხი (ევანილსონი 73), ვიორნსი, მეცელდერი, დედე, ფრინგსი, როსიცკი, კელი (რეინა 83), ევერტონი (რიკენი 63), ამოროზო, კოლერი | დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (სერჟინიო 78), შევჩენკო (ლაურსენი 90), ინძაგი (რივალდო 85) |
| მწვრთნელი: მათიას ზამერი | მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი |

ჯარიმა: 13-15; კუთხური: 3-2; კარისკენ დარტყმა: 6-5; კარში დარტყმა: 2-3; თამაშგარე: 0-1

# მილანმა ჯავრს ჭვინტი ჰკრა

**„ვესტფალენშტადიონზე"** მოგებით „შავ-წითლებმა" ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირეს. ერთი რომ, ურთულეს ჯგუფში პირველ ადგილზე მყარად მოიკიდეს ფეხი ქულათა მაქსიმუმით და მეორე: შარშანდელი 0:4-ისთვის ჯავრი იყარეს. ხომ გახსოვთ, აპრილში რა თავბედი აწყვეტინეს მათიას ზამერის შეგირდებმა კარლო ანჩელოტის სამწყსოს, უეფას თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში?

იმ შეხვედრის გმირი, ბრაზილიელი მარსიო ამოროზო, რომ იტყვიან, გუშინწინ საერთოდ არ ჩანდა, ღირებული ვერაფერი გააზერხა. „მილანის" მცველებმა, გამორჩეულად კი ალესანდრო ნესტამ და პაოლო მალდინიმ, არც „დორტმუნდის" აზმაზი ჩეხი იან კოლერი გააზარეს და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იგი „მეორე სართულზეც" დაჯაბნეს.

„საოცრად იმედგაცრუებული ვარ. არ მეგონა, თუ ბიჭები ასე პასიურად ითამაშებდნენ. კი, „მილანი" ერთ-ერთი საუკეთესო და, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენზე ძლიერიცაა, მაგრამ არა დაუმარცხებელი" — ნაღვლიანად თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა მათიას ზამერმა.

მართალიცაა, დორტმუნდელებმა ვერ ითამაშეს ჯიგრიანად, მომენტებიც თითო-ოროლა თუ შექმნეს. თუმცა მატჩის ბოლოს ტომაშ როსიცკის ოდნავ რომ გამართლებოდა, გოლსაც გაიტანდა: ჩეხმა შორიდან იმისთანა აძგერა დიდას კარის ზარიზას, სტადიონს ოხვრა აღმოხდა.

„მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კმაყოფილებას ვერ მალავდა გუნდის თამაშით და, ცხადია, შედეგითაც. განსაკუთრებით კი ფილიპო ინძაგი გამოარჩია. ერთადერთი გოლის გამტანი ანჩელოტიმ ასე შეაქო: „ნამდვილი ფორვარდია, ერთადერთი ნალდი მომენტი ჰქონდა და უმალ გოლად აქცია."

„დორტმუნდმა" თამაში სამი თავდამსხმელით დაიწყო. ზამერმა სამი ფორვარდის, ამოროზოევერტონი-კოლერის უკან როსიცკი გაამწესა. ნახევარდაცვის კონტროლი ფრინგსს, კელსა და დედეს დაავალა. მატჩმა კი გვჩივენა, რომ სტუმართა შუახაზელები უფრო მობილურად და ნაყოფიერად ირჯებოდნენ.

მასიმო ამბროზინიმ ალბათ კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა. მოულოდნელი იყო კლარენს ზეედორფის პოზიცია. ჰოლანდიელს ძირითადად მარცხენა ფლანგის მიხედვა ევალება, გუშინწინ კი ანდრეა პირლოსთან ერთად საყრდენი ნახევარმცველის ჭაპანი გასწია.

სწორედ ზეედორფის ჩინებულ პასს მოჰყვა ინძაგის გოლიც. 49-ე წუთზე ინძაგიმ ადევნებული კრისტოფ მეცელდერი აზლოს არ გაიკარა, ბურთს ჭვინტი ჰკრა, კარიდან გამოვარდნილი იენს ლემანი სახტად დატოვა და გაიხარა.

გაიხარეს მილანელებმაც. სტუმართა დაცვა აუღელვებლად თამაშობდა, მეკარე დიდას ფაქტობრივად საქმე არც ჰქონია.

მასპინძლებმა ბოლოსკენღა გამოიღვიძეს. როსიცკის გასროლილზე ზემოთაც ვთქვით. მანამდე იენს ლემანიც ჩავიდა „მილანის" საჯარიმოში და ბურთს თავურიც უთავაზა, მაგრამ ამაოდ.

დაბოლოს, „ვესტფალენშტადიონს" გუშინწინ ორი დიდი სტუმარიც ჰყავდა. თუ გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი „ბორუსიას" ქომაგია და მის მატჩებს შეძლებისდაგვარად არ ტოვებს, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი სულაც „მილანის" პრეზიდენტია. ჰოდა, მოკალათებულიყო ტრიბუნაზე ეს ორი პატივცემული კაცი და მათგან რომელმა გაიხარა, თავადაც მოგეხსენებათ.


REUTERS

ანდრეი შევჩენკომ და კრისტოფ მეცელდერმა სუმოს ილეთები გამოიყენეს

## რეალი 2:2 ლოკომოტივი

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". 55 000 მაყურებელი. მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)

1:0 რაული (21), 1:1 ობიორა (48), 1:2 მნგუნი (74), 2:2 რაული (76)

| | |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, პავონი, იერო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კამბიასო (მორიენტესი 77), მაკელელე (ფ. კონსეისაო 32), ზიდანი, რაული, რონალდო (გუტი 46) | ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, მამინოვი, მნგუნი, ლოსკოვი, პიმენოვი (დროზდოვი 80), ჟულიო სეზარი (ობიორა 46) |
| მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე | მწვრთნელი: იური სიომინი |

ჯარიმა: 9-17; კუთხური: 17-0; კარისკენ დარტყმა: 10-3; კარში დარტყმა: 12-3; თამაშგარე: 0-2


REUTERS

რონალდოსგან ოთხშაბათს აზრდილიღა დარჩენილიყო

# მაინც სენსაცია

## მსაჯს სასტვენი გაექცა

**ცოტაც** და „სანტიაგო ბერნაბეუზე" სენსაცია გამოცხვებოდა. არა, სენსაცია ისედაც გამოცხვა, მაგრამ რა მოხდებოდა, წამატებულ დროში იკერ კასილიასთან პირისპირ გასული რუსთა ნიგერიელ ჯეიმს ობიორასთვის მსაჯს ბოლო დარტყმა რომ ეცლია? საკვირველი კი არის — ასეთი შეტევისას არბიტრები საფინალოდ არ სტვენენ ხოლმე, იერიშის დასრულებამდე იცდიან, მით უმეტეს, წამატებული წუთების გალევას წამები კიდევ უკლდა.

ხოლო მსაჯს ობიორასთვის დარტყმა რომ ეცლია, ნიგერიელს კი გაეტანა, „ლოკომოტივი" „სპარტაკის" მერე მეორე რუსული გუნდი გახდებოდა, ვინაც „რეალის" მისსავე მოედანზე წაქცევას შეძლებდა.

წარსული, უფრო კონკრეტულად კი 1991 წელი გავიხსენოთ, როცა შმაროვის, რადჩენკოს, კულკოვის და სხვათა „სპარტაკმა" „სამეფო კლუბს" 3:1 მოუგო.

ახლა კი, თუნდაც ფრე უფრო ხმაურიანად ჟღერს, ვიდრე 11 წლის წინანდელი გამარჯვება. ყველაფრის მომგები და ერთი შეხედვით უძლეველი მადრიდული კლუბი მხოლოდ ფრეს გამორჩა, ისიც შინ და ისიც „ლოკომოტივთან".

გამორჩა და, ჯგუფში მდგომარეობაც გაირთულა. ესპანურმა „მარკამ" განგაშის ზარს ჩამოჰკრა, არიქა, ვაითუ ჯგუფში ჩავრჩეთო.

თუმც ცოდვა გამხელილი სჯობს, იური სიომინს კარგად გაწვრთნილი გუნდი ჰყავს. რუსეთის ახლადგამომცხვარი ჩემპიონი აშკარად გამართულ ფეხბურთს თამაშობს.

სიომინმა პრესკონფერენციაზე თქვა, ძალიან კმაყოფილი ვარ შედეგით, აშკარად გაგვიმართლა, ბოლოსკენ „რეალის" ზეწოლას რომ გავუძელითო.

ვისენტე დელ ბოსკემ, მადრიდელთა თავკაცმა, თქვა, მეტოქემ სწრაფი ფეხბურთი შემოგვთავაზა, მოდუნების უფლება წამითაც არ გვქონდაო. შედეგის მიუხედავად, დელ ბოსკემ შეგირდებიც შეაქო, მშვენივრად ითამაშეს, უბრალოდ, იღბალი არ გვქონდაო. ისე, ეს თუ მშვენიერი თამაშია, ცუდი რაღა უნდა იყოს.

ზინედინ ზიდანი კი კრიტიკული იყო, უფრო სწორედ, თვითკრიტიკული. მისი თქმით, რაც „რეალშია", ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა. იგივე აზრზე ყოფილა არგენტინელი ესტებან კამბიასოც.

„რეალი" რაულის ჩინებული დრიბლინგით და მეტად მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთით დაწინაურდა.

„ლოკომოტივს" ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი აკლდა, ტრავმირებული ვლადიმირ მამინოვი და დმიტრი სენიკოვი. ეს უკანასკნელი ზედმეტი ყვითელი ბარათების გამო დისკვალიფიცირებული გახლდათ. სიომინმაც სასტარტოში სამხრეთაფრიკელი ტაბო მნგუნი ათამაშა. მან გაამართლა. 74-ე წუთზე კასილიასს ისე გაუტანა, გზად დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია და რკინიგზელები დააწინაურა — იქამდე ობიორამაც იოლად გაიარა მასპინძელთა დაცვა და რაულის გოლი გაქვითა. თუმც „ოქროს ბიჭუნა" რაულმა წონასწორობა მაინც აღადგინა. მადრიდელმა ოვჩინიკოვის კარში ბურთი ლამის მკერდით შეიტანა.

ერთი სიტყვით, მასპინძლებმა მოსაგები ვერ მოიგეს და სამი ფეხბურთელიც დაკარგეს: რონალდო, იერო და მაკელელე.

| ბიორბი მა ზაძიძე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. D ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუვენტუსი 4:0 ბაზელი

ტურინი. „დელე ალპი". 22 639 მაყურებელი. მსაჯი: ლუსილიუ ბატისტა კორტესი (პორტუგალია)

1:0 ტრეზეგე (3), 2:0 მონტერო (34), 3:0 ტაკინარდი (43), 4:0 დელ პიერო (51პ)

| | |
|---|---|
| ბუფონი, ტურამი (ფერარა 59), მონტერო, იულიანო, ბირინდელი, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (კონტე 72), ტრეზეგე (ზალაიეტა 65)<br>მწვრთნელი: მარჩელო ლიპი | ცუბერბიულერი, ბარბერისი, მ. იაკინი, ცვისიგი, ატუბა, ესპოზიტო, კანტალუპი, ჩიპერფილდი (დურუზი 65), პ. იაკინი (ტუმი 77), ხიმენესი (ვარელა 46), როსი<br>მწვრთნელი: კრისტიან გროსი |

ჯარიმა: 12-12; კუთხური: 5-8; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 8-7; თამაშგარე: 2-4

# იუვენტუსი იწყებს და იგებს

**ორი თვე** არ უთამაშია „იუვენტუსის" ფრანგ თავდამსხმელ დავიდ ტრეზეგეს და, აი, „ბაზელთან" შეხვედრაში დაუბრუნდა დიდ ფეხბურთს. დაუბრუნდა და სამ წუთში გოლიც გაიტანა — ალესანდრო დელ პიეროს ჩაწოდებულ კუთხურს თავური დაჰკრა.

„ბედნიერი ვარ, რომ დავბრუნდი, მუხლი აღარ მტკივა, პრობლემა აღარ მაქვს და, რა საკვირველია იმიტომ, რომ ასე მალე გავიტანე გოლი — განაცხადა ფორვარდმა — მოგეხსენებათ, „იუვენტუსს" ბოლო ოთხი თამაშიდან ერთიც არ ჰქონდა მოგებული. სწორედ ამიტომ, დღევანდელი გამარჯვება მეტისმეტად გვჭირდებოდა. მშვენიერია, რომ ჩინებულადაც ვითამაშეთ და შედეგსაც სასურველს მივაღწიეთ."

რა ოთხი თამაში იგულისხმა ტრეზეგემ? ამის გახსენება ძნელი არ არის. ეს გახლავთ, სამი მატჩი იტალიის ჩემპიონატიდან და ერთიც, 2:2 ჩემპიონთა ლიგაში, „დეპორტივოსთან". იმ სამი იტალიური შეხვედრიდან ერთი „ბრეშასთან" სულაც მოწინააღმდეგის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო „რომასთან" და „ბოლონიასთან" „ბებერმა ქალბატონმა" ფრედ ითამაშა.

„იუვენტუსის" მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „ტრეზეგე დაბრუნდა, რამაც ყველანი ძალიან გაგვახარა. ერთი სიტყვით, ამწუთას ყველაფერზე მეტად ის მახარებს, რომ იგორ ტუდორის გარდა ყველა საუკეთესო ფეხბურთელი ჩემს განკარგულებაშია. ამ სეზონში პირველად მოხდა, რომ განაცხადის ოცდახუთი ფეხბურთელიდან შემძლო არჩევა და ვარიანტების გათვლა."

ტრეზეგეს გოლის შემდეგ 34-ე წუთზე, მეორე გოლი მცველმა პაოლო მონტერომ შეაგდო, რასაც ალესიო ტაკინარდიმ ძალიან ლამაზი დარტყმა და ანგარიშის მეტად გაზრდა მოაყოლა, ხოლო ალესანდრო დელ პიერომ ბოლოს, პენალტით, მეოთხეც შეაგდო.

„ძალიან გაგვიმართლა იმიტომაც, რომ ანგარიში შეხვედრის დასაწყისშივე გავხსენით, ხოლო მეორე გოლი სადღაც ნახევარ საათში მივაყოლეთ. თავიდან „ბაზელმა" ყველა ის დადებითი თვისება გამოავლინა, რაც მისი და „ლივერპულის" შეხვედრაში შევამჩნიეთ. იგივე იყო ამ გუნდის „ვალენსიასა" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრებშიც, თუმცა მონტეროს გოლის შემდეგ მეტოქე გატყდა და შემდეგ სულ სხვა სურათი გადაგვეშალა" — დასძინა ლიპიმ.

„ბაზელის" თავკაცის, კრისტიან გროსის შეხედულება ამ შეხვედრის შესახებ, ლიპისას დაემთხვა:

„ასეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ თამაში იოლი არ არის, ხოლო, როდესაც დასაწყისშივე გოლს უშვებ, ეს მდგომარეობას ორმაგად ართულებს. „იუვენტუსის" თამაში გაცილებით შედეგიანი იყო, ვიდრე ჩვენი. ჩვენც ისე უნდა მოვქცეულიყავით, როგორც ისინი — მხოლოდ კარგად თამაში საკმარისი არ არის, მომენტებს რომ შექმნი, უნდა გამოიყენო კიდეც. როგორც ჩანს, ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ მეტისმეტად დიდი ყურადღება დავუთმეთ შეტევას, რის გამოც ზურგი მოგვიშიშვლდა."




ხულიო ერნან როსიმ ტურინულ თოვლს უამრავი მომენტი გაატანა

# რუუდის დღე




ხუან ვერონმა ხუან კაპდევილას ბურთი დაამიწებინა

## მანჩესტერი 2:0 დეპორტივო

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". 67 014 მაყურებელი. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

1:0, 2:0 ვან ნისტელროი (7, 55)

| | |
|---|---|
| ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, სილვესტრი, ოში (ბექემი 81), სოლსკიაერი, ფ. ნევილი (ფორლანი 81), ვერონი, გიგზი, ვან ნისტელროი (რიჩარდსონი 89), სქოულზი<br>მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი | ხუანმი, სკალონი, რომერო, სეზარი, კაპდევილა, ვიქტორი, სერხიო, მაურო სილვა, ამავისკა (ტრისტანი 46), ვალერონი (აკუნია 65), მაკაი<br>მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა |

ჯარიმა: 17-8; კუთხური: 5-6; კარისკენ დარტყმა: 3-5; კარში დარტყმა: 11-4; თამაშგარე: 4-4

**„მანჩესტერ იუნაიტედმა"** რუუდ ვან ნისტელროის ორი გოლის წყალობით „ოლდ ტრეფორდზე" „დეპორტივო" დაამარცხა და D ჯგუფში მეორე გამარჯვება მიითვალა.

თამაში ჯერ კიდევ სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც ვან ნისტელროიმ ესპანელთა მეკარეს, ხუანმის, საჯარიმო კიდიდან დარტყმული ბურთის მოგერიება აიძულა, ხოლო მე-7 წუთზე ანგარიშიც გახსნა. მანჩესტერელთა წარმატებული კომბინაციის ბოლო ორი სვლა ასეთი გახლდათ: პოლ სქოულზმა „დეპორტივოს" საჯარიმოში ოსტატურად ჩააწოდა ბურთი, ხოლო ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა დაახლოებით ექვსი მეტრიდან ლამაზი თავური დარტყმით მიაღწია საწადელს.

შეხვედრას იმთავითვე დაეტყო, რომ სტუმართათვის სახარბიელოდ არ წარიმართებოდა, მაგრამ მათ სასახელოდ მაინც უნდა ითქვას, რომ ორგანიზებული თამაშის წყალობით მასპინძელთა შეტევების ტალღა მეტ-ნაკლებად ჩააცხრეს და ერთი ხნით მაინც შეძლეს მოედანზე მეხამრიდების განთავსება. თუმცა, პირველ ტაიმში მანჩესტერელებს დამაგვირგვინებელი დარტყმებისას მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, იქნებ, ახლა სხვა სიტყვების დაწერა დაგვჭირვებოდა. კერძოდ, 21-ე წუთზე, სქოულზს მართებდა გოლის გატანა — რაიან გიგზმა ლიონელ სკალონი მოატყუა და ჩინებული პასი მიაწოდა, მან კი, სადღაც ათი მეტრიდან ვერ მოახერხა მშვიდად და დაკვირვებით დარტყმა.

ამ ამბიდან ექვსი წუთის მერე ვან ნისტელროიმ გაუშვა კიდევ ერთი მომენტი. ეს ამბავი ასე მოხდა: მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ბურთი ნორვეგიელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ჩააწოდა — აღსანიშნავია, რომ სოლსკიაერი ჩვეულებრივ თავდამსხმელია, მაგრამ იმ საღამოს ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე თამაშობდა — ვან ნისტელროიმ კი თავური დაარტყა და ბურთი ხუანმის კარის მარჯვენა ძელთან ააცილა.

გამოხდა ხანი და ვან ნისტელროიმ მორიგი თავური დაარტყა, ამჯერად ხუან სებასტიან ვერონის ჩაწოდებულ ბურთს. ეს ეპიზოდი გოლით დასრულდა, მაგრამ ვინაიდან, ჰოლანდიელმა ახტომისას, მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა და ხუანმის თუ არ ჩასცხო, ყოველ შემთხვევაში თვალებზე ააფარა — მსაჯმა გოლი არ ჩათვალა.

შესვენების შემდეგ „დეპორტივოს" შემადგენლობაში გამოჩნდა დიეგო ტრისტანი, რომელიც თავდასხმაში როი მაკაის შეუწყვილდა. ტრისტანი თამაშის განახლებისთანავე შეეცადა შეხვედრისთვის დაღი დაესვა, მაგრამ ვერ შეძლო. იმ დღეს მთავარი გმირობა ვან ნისტელროის წილად იყო — 51-ე წუთზე 20 მეტრიდან სცადა ხუანმის კარში ბურთის კიდევ ერთხელ შეგდება, ორ წუთში კი ისევ მოვლენათა ცენტრში იყო: გიგზმა, ბუნებრივია, თავისი, მარცხენა ფრთიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა, ხოლო ვან ნისტელროის დამატებას აზრი არ ჰქონდა, რადგან თანამსაჯს ოფსაიდის აღსანიშნავად ალამი ჰქონდა აღმართული.

და ამ მომენტების ქარს გატანებისთვის „მანჩესტერ იუნაიტედი" კინაღამ დაისაჯა: როი მაკაიმ მარჯვნიდან იხელთა მომენტი, ოღონდ ბურთი პირდაპირ მასპინძელთა მეკარეს, ფაბიენ ბარტეზს გაარტყა, თუმცა, ერთი წუთის მერე ეს ალარავის ახსოვდა, რადგან რუუდ ვან ნისტელროიმ მეორე გოლი გაიტანა — სქოულზის შორეული დარტყმა ხუანმიმ კი მოიგერია, მაგრამ ბურთი სოლსკიაერმა იგდო, მისი ჰოლანდიელისთვის გადაწოდება მოახერხა და მანჩესტერელებმა თამაშის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტეს.

ერთადერთი, რაც მათ, შესაძლოა ეწყინათ, ხუან ვერონის ყვითელი ბარათი გახლდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი „იუვენტუსთან" შეხვედრას გამოტოვებს.

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. A ჯგუფი

## ბარსელონა 3:1 ნიუკასლი

ბარსელონა. „კამპ ნოუ". 40 000 მაყურებელი. მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

1:0 დანი (7), 1:1 ამეობი (24), 2:1 კლუივერტი (35), 3:1 მოტა (58)

ბონანო, რაიციგერი (კრისტენვალი 14), პუიოლი, დე ბური, კოკუ (მენდიეტა 16), რიკელმე, ხავი, მოტა, ოვერმარსი, კლუივერტი, დანი (სავიოლა 78)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

გივენი, გრიფინი, ობრაიენი, ჰიუზი, ბერნარი, სოლანო, დაიერი, სპიდი, რობერი, ლუა ლუა (ჩოპრა 84), ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი

ჯარიმა: 13-22; კუთხური: 15-3; კარისკენ დარტყმა: 10-8; კარში დარტყმა: 8-4; თამაშგარე: 3-2

# გასვლა და ასვლა

## ვან გაალმა ზედიზედ ათი ყურიდან ყურში გაატარა



REUTERS ბარბელაშვილი

არონ ჰიუზმა ხავიერ სავიოლას გრძელი ფეხი აიფარა

**ბარსელონაში** წვიმას დარი და საკლუბო რეკორდი მოჰყვა. გადადებულ მატჩში გამარჯვება სრულიად კატალონიას მიესალბუნა. პრიმერადივიზიონური იარა „ნიუკასლის" დამარცხებამ ოდნავ დააცხრო. ამასთანავე „ბარსელონამ" „მილანის" ათი წლის წინანდელი რეკორდი გაიმეორა — ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ჩათვლით მიჯრით ათი შეხვედრა მოიგო.

„მილანის" მიღწევის გაუმჯობესებას „ბარსა" 18 თებერვალს შეეცდება, როცა კატალონიელები „ინტერს" უმასპინძლებენ. თუ მეთერთმეტეც ზედ მიაყოლეს, მაშინ უკვე „აიაქსის" შედეგს გაიმეორებენ — ამსტერდამელებმა 1987-88 წლებში, თასების მფლობელთა თასზე, ერთმანეთზე 11 მოგება მიალაგეს.

გამარჯვებით გახარებულ ბარსელონელებს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სამწუხარო ამბავი აუწყა: „კამპ ნოუს" ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. გეხსომებათ, „რეალთან" მატჩისას გოჭის თავისა და სხვა სურსათ-სანოვაგის მსროლელ ქომაგებს ხელობა დაუწუნეს, აუწონ-დაუწონეს და უმსგავსი საქციელისთვის სტადიონი დასაჯეს.

უშირერო და უბელამო „ნიუკასლს", რა გასაკვირია, თავდასხმაში გაუჭირდა, მაგრამ კირონ დაიერმა ლიდერის ჭაპანი გასწია.

პირველი გოლი სტუმართა კარში მალევე გავიდა. ხავიმ საჯარიმომდე მიიყოლა ბურთი და მცველთა ზურგში ჩასაფრებულ დანის უბოძა. დანიმ ვარდნაში ზუსტად დაჰკრა — შეი გივენმა ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა.

გოლის შემდეგ მასპინძლების ორი ფეხბურთელი შესაცვლელი გახდა. ჯერ რაიციგერი დაშავდა, რომელიც კრისტენვალმა შეცვალა, ორ წუთში კი მას კოკუც მიჰყვა. კოკუს მენდიეტა ჩაუნაცვლეს.

იძულებითი ცვლილება „ბარსელონას" უკანა ხაზს მყისვე დაეტყო. ნიუკასლელებმა რამდენჯერმე თავისუფლად გაინავარდეს მეტოქის საჯარიმოში და მალე ნავარდს გოლი მოჰყვა. ნოლბერტო სოლანოს წამოწყებული კომბინაცია კირონ დაიერმა გააგრძელა, შოლა ამეობის ბურთი მიაწოდა და მანაც რობერტო ბონანო უსაქმოდ დატოვა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე „ბარსელონამ" მაინც შეძლო დაწინაურება. მარკ ოვერმარსმა ეულად დარჩენილი პატრიკ კლუივერტი მოძებნა, რომელმაც ცაციით შეუჩერებლივ დაარტყა და გივენმა ნახტომი დააგვიანა.

შესვენების შემდეგ „ნიუკასლმა" გასათანაბრებლად გაიწია და ლომანა ლუა ლუას ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, იხეირა ტიაგო მოტამ. მან რომან რიკელმეს ჩაწოდებულ კუთხურს ზუსტი თავური დაჰკრა.

მესამე გატანილის შემდეგ „ბარსელონამ" ძველებურად გაილაღა და აურაცხელი საგოლე მომენტი შექმნა მეტოქის კართან. მარტო პატრიკ კლუივერტს სულ ცოტა, სამის გატანა მართებდა. თავის მხრივ სტუმარმა ობრაიენმაც გაისროლა ერთხელ სახიფათოდ, თუმც ბრიტანელებმა „ბარსას" მეათე გამარჯვებას ხელი ვერ შეუშალეს.

ბარსელონაში დაბრუნებული სერ ბობი რობსონი მასპინძლობით, ცხადია, კმაყოფილი იყო, მაგრამ შედეგზე რა მოგახსენოთ: „აქ ძალიან გულთბილად მიმიღეს, რისთვისაც მადლობელი ვარ, მაგრამ საწყენი მარცხი ვიწვნიეთ. 1:2-ზე გათანაბრების კარგი შანსი გვქონდა, თუმც მესამე რომ გაგვიტანეს, ყველაფერი დამთავრდა. ოთხი მატჩი კიდევ გასამართი გვაქვს, ამიტომ წინასწარ ნუ ჩამოგვწერთ. კი, შეიძლება ითქვას, რომ ექვსქულიანი „ბარსელონა" და „ინტერი" ფავორიტები არიან, მაგრამ მთლად ეგრეც არაა."

ლუის ვან გაალი ჯერ კიდევ მეშვიდე წუთზე წამოხტა ელდანაცემივით, როცა დანიმ შეაგდო და ნამატჩევსაც თავის სტიქიაში იყო: „ნიუკასლის" ჯგუფში ჩარჩენაზე ლაპარაკი ნაადრევია. ხომ გახსოვთ, პირველ ეტაპზე მათ სასწაული მოახდინეს, როცა ბოლო სამი მატჩი მოიგეს. იმედი მაქვს, ჩვენ ჯგუფიდან როცა გავალთ, უკან „ნიუკასლი" გამოგვყვება. რაც შეეხება იმ აჟიოტაჟს, რომელიც მეათე მატჩის მოგებას მოჰყვა, ალალად გეტყვით, საერთოდ არ მაინტერესებს და ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ამ ფაქტს. ჩემი მიზანია ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა და პრიმერადივიზიონის ცხრილში ზევით აწევა."

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

# მამის და პაპის იმედად

**ლონდონის** „ჩელსი" აღარ ხუმრობს: გასულ შაბათს ბოლო ცხრიდან მეშვიდე პრემიერლიგური მატჩი მოიგო და მეორე ადგილზე გადასკუპდა. ლიგის თასსაც თუ ჩავთვლით, ათი შეხვედრაა, „არისტოკრატები" არავის დაუმარცხებია.

ცხადია, ასეთმა სერიამ სამხრეთ-დასავლეთ ლონდონის მაცხოვრებლებს იმედი ჩაუსახა. ეგებ 1955 წლის მერე პირველად ჩემპიონობას გამოვკრათ ხელიო. მით უმეტეს, რომ კონკურენტებისგან განსხვავებით, „ჩელსის" მხოლოდ ეროვნული შეჯიბრებაღა აღარდებს და მომქანცველი ევროტურნირი ხელს აღარ უშლის.



კლაუდიო რანიერი

კლაუდიო რანიერი, „ჩელსის" იტალიელი მწვრთნელი, ამ იმედს სრულიად რეალურს უწოდებს: „წლეულს საქმე მართლაც სხვაგვარადაა. შარშანაც ჩაგვიტარებია ჩინებული მატჩები. თვით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპულიც" დავამარცხეთ, მაგრამ სტაბილურობა გვაკლდა. ამ სეზონში კი ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა და ამიტომ მხოლოდ ჩემპიონობა გვსურს."

51 წლის რანიერი გუნდის გარდასახვას საკუთარი მეცადინეობით ხსნის. დიახ, სწორედ მეცადინეობით — „სტემფორდ ბრიჯზე" ორი წლის წინ მისული მწვრთნელი თავისუფალ დროს ინგლისური ენის მასწავლებელთან ატარებდა და საწადელსაც მიაღწია: „თქვენ არ იცით, რა ძნელია მოთამაშეებისთვის ტექნიკური, სტრატეგიული თუ პირადი დავალების მიცემა, როცა მათთვის გასაგებ ენაზე ვერ ლაპარაკობ. ახლა ჩემი ყველას კარგად ესმის და შედეგიც სახეზეა" — ხარობს, თანაც ინგლისურად, იტალიელი რანიერი.

ეს სეზონი „ჩელსისთვის" მართლაც გამორჩეულია. ადრინდელისგან განსხვავებით, ამ ზაფხულს კლუბში მხოლოდ ერთი ახალწვეული, კიკე დე ლუკასი ჩაირიცხა. ამ ნაბიჯით, ცხადია, ფინანსური პრობლემები მოგვარდა, თუმცა მთავარი სეირი კლუბის თავკაცობამ ახლაღა აღმოაჩინა — ჯანფრანკო ძოლამ კონკურენციის შიში უკუაგდო და ისე ათამაშდა, ჭაბუკობაში რომ იცოდა: ბევრი პრემიერლიგელისთვის მამისტოლა იტალიელმა სეზონში უკვე 9 გოლი მიითვალა.

„სიტყვებიც არ მყოფნის მის შესაქებად. ის უდიდესი ფეხბურთელია" — ამბობს რანიერი და დამსახურებას არც მეორე თანამემამულეს, მეკარე კარლო კუდიჩინის უკარგავს: „მან შანსი გამოიყენა, როცა ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშის საშუალება მივეცი. ვფიქრობ, კარლო იტალიის ნაკრების ღირსია."

„ჩელსიში" იტალიელებს რა გამოლევს, თუმცა რანიერი ახლაც წუხს, სემი დალა ბონა სამშობლოში რომ დაბრუნდა: „ათასჯერ გავაფრთხილე, შეცდომას უშვებ-მეთქი, მაგრამ თავისი გაიტანა და „მილანში" წავიდა. ძალიან ვწუხვარ, როცა ამ უნიჭიერეს ბიჭს სათადარიგოთა სკამზე ვხედავ."

და კიდევ ერთი კაცი, ვისაც რანიერის დიდად ეიმედება. ეს ადამიანი „ჩელსის" მწვრთნელის მშობლიურ ქალაქ რომში ცხოვრობს, თუმც კი პოლონელია. „ამ კვირას ერთი დღით რომში ჩავედი, ვია კონდოტიზე გავისეირნე და უცებ რომის პაპი შემომხვდა გზაში. ეს ადრე არასდროს მომხდარა. ნამდვილად კარგი ნიშანია ჩემთვისაც და „ჩელსისთვისაც".

**გიგა ძოზახიძე**



# ლორანტი ხუთ თვლაში გაფრინდა

**„ფენერბაჰჩეს"** მწვრთნელყოფილი ვერნერ ლორანტი სამშობლოსკენ გეზაღებულ თვითმფრინავს შეახტა და გერმანიაში გაფრინდა.

თურქული კლუბის ბოსებმა ლორანტს გარჯა დაუწუნეს და პოსტიდან დაითხოვეს.

„ფენერბაჰჩეს" პრეზიდენტმა აზიზ ილდირიმმა ხელი გაშალა, მერე თითები რიგრიგობით მოხარა და გერმანელ სპეციალისტს დაუთვალა: ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრა, თურქეთის თასზე ქვედალიგელთან მარცხი, უეფას თასზე „პანათინაიკოსთან" უპრინციპულესი შეხვედრის წაგება, რასაც გასულ ტურში ქურთთა გუნდთან, „დიარბაქირთან" 0:3 მარცხი დაემატა და ყავის დალევას თუ 45 მიზეზი სჭირდება, მწვრთნელის გათავისუფლებას 5 ეყო.

გერმანელი მოუხედავად უცერემონიოდ მოხსნისა, დილით ბაზაზე მივიდა, ფეხბურთელებს დაემშვიდობა, წარმატება უსურვა და შინისკენ გასწია.

„ფენერბაჰჩეს" მწვრთნელობას ლორანტის თურქ თანაშემწე ოლუზ ჩეტინის უქადიან.

**რომან თურქია**

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი: ბოვე — ვალანსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 18 | 10 | 5 | 3 | 26:15 | 35 |
| ტულუზი | 18 | 9 | 4 | 5 | 22:13 | 31 |
| შატორუ | 18 | 9 | 4 | 5 | 22:17 | 31 |
| მეცი | 18 | 8 | 5 | 5 | 21:16 | 29 |
| ლორიანი | 18 | 8 | 4 | 6 | 22:20 | 28 |
| გრენობლი | 18 | 6 | 9 | 3 | 22:12 | 27 |
| კრეტეი | 18 | 6 | 9 | 3 | 25:18 | 27 |
| ლავალი | 18 | 6 | 6 | 6 | 17:18 | 24 |
| ბოვე | 18 | 6 | 5 | 7 | 10:9 | 23 |
| ნიორი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:19 | 23 |
| ვასკეალი | 18 | 5 | 8 | 5 | 16:16 | 23 |
| ამიენი | 18 | 6 | 5 | 7 | 15:16 | 23 |
| კლერმონი | 18 | 6 | 5 | 7 | 20:23 | 23 |
| ვალანსი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:21 | 22 |
| კაენი | 18 | 4 | 9 | 5 | 19:21 | 21 |
| სენტ ეტიენი | 18 | 4 | 7 | 7 | 12:15 | 19 |
| ისტრი | 18 | 4 | 7 | 7 | 17:32 | 19 |
| რეიმსი | 18 | 3 | 9 | 6 | 15:19 | 18 |
| გენიონი | 18 | 4 | 6 | 8 | 13:21 | 18 |
| ნანსი | 18 | 4 | 4 | 10 | 15:26 | 16 |


სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
კიები, ბურთები, ნაჭურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია



Zeus ზევსი Biliijardai
ტიტანი მასტერი
Master
saluc
☎ 95-57-75, 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2



ლენარტ იუჰანსონმა მომავალს გახედა

# ავსტრია-შვეიცარია ევრო 2008 დაიბინავეს

**გუშინ** უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ოთხი საათი იმსჯელა, ყველაფერი აწონ-დაწონა და გადაწყვიტა: 2008 წელს ევროპის ჩემპიონატს ავსტრია და შვეიცარია ერთად უმასპინძლებენ. უეფას გადაწყვეტილება ცოტა ხანს სალაპარაკო თემას მოგვცემს, ავსტრიელები და შვეიცარიელები ცოტა ხანს იზეიმებენ, დამარცხებულები იმედგაცრუებაზე ილაპარაკებენ, მერე კი ყველაფერი გვარიანი დროით დავიწყებას მიეცემა — წინ 2004 წლის პორტუგალიისა და 2006 წლის გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატებია — და ექვსი წლის მერე ავსტრია და შვეიცარია კვლავ ყურადღების ცენტრში იქნებიან.

კანდიდატები, მოგეხსენებათ, შვიდნი იყვნენ, უფრო სწორად კი ცამეტმა ქვეყანამ, ზოგმა დამოუკიდებლად, ზოგმაც ერთობლივად, უეფაში 7 განაცხადი შეიტანა. ჩამოვთვალოთ: ავსტრია-შვეიცარია, ირლანდია-შოტლანდია, რუსეთი, უნგრეთი, თურქეთი-საბერძნეთი, ხორვატია-ბოსნია დანია-ნორვეგია-შვედეთი-ფინეთი. ამათ შორის საუკეთესო პროექტის წარმდგენი უეფას აღმასკომს უნდა გამოევლინა.

უეფას აღმასკომი 14-წევრიანია და ამ თოთხმეტ პატივცემულ პიროვნებას შორის, ცხადია, განაცხადთა წარმდგენი ქვეყნების მოქალაქეებიც იყვნენ. ჰოდა, სამართლიანობა რომ არ დარღვეულიყო, ანუ მაგალითად, უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს სუბიექტურ მიზეზთა გამო შვედეთისთვის რომ არ მიეცა ხმა, ან ვიაჩესლავ კოლოსკოვს რუსეთისთვის, გადაწყდა — კენჭისყრაში აღმასოკმის მხოლოდ დაუინტერესებელი წევრები მიიღებდნენ მონაწილეობას. ასეთი რვა კაცი აღმოჩნდა, აღმასკომის ინგლისელი, ჰოლანდიელი, კვიპროსელი, გერმანელი, მალტელი, ფრანგი და ლუქსემბურგელი წარმომადგენლები, მათ პირველ ეტაპზე შვიდი განაცხადიდან ოთხი უნდა უკუეგდოთ და სამი დაეტოვებინათ.

მასპინძლობის მაძიებელთა წარდგენისა და უეფას საგანგებო კომისიის დასკვნის მოსმენის მერე (კომისიამ შემოდგომაზე კანდიდატთა ინსპექცია მოახდინა), რვა აღმასრულებელი საქმეს შეუდგა. გადაწყდა: სკანდინავიური ოთხეულის, ბრიტანელების, რუსეთისა და ბალკანელების კანდიდატურები უვარგისად ჩაითვალა, შესაბამისად, ბრძოლას ავსტრია-შვეიცარია, თურქეთ-საბერძნეთი და უნგრეთი შემორჩნენ.

მეორე ეტაპზე კენჭისყრის უფლება აღმასკომის იმ წევრებსაც დართეს, რომელთა ქვეყნებიც პირველ ეტაპზე გაიცხრილნენ. შვეიცარიელ ჯანჯორჯო სპისი და თურქი სენეშ ერზიკი კვლავ უხმოდ დარჩნენ, დანარჩენი თორმეტი ხმოსანის სიმპათიები კი შემდეგნაირად განაწილდა: ავსტრია-შვეიცარიასა და უნგრეთს ხუთ-ხუთი ხმა ერგოთ, თურქეთ-საბერძნეთს ორი და დამატებითი ტურის ჩატარება გახდა საჭირო. საბოლოოდ, ავსტრია-შვეიცარიას ცხრა ხმა ერგო, უნგრეთს კი სამი და 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხიც გადაწყდა.

და მაინც, რატომ ავსტრია და შვეიცარია? იმიტომ, რა მიზეზითაც მათ თავიდანვე ფავორიტებად მიიჩნევდნენ. კერძოდ, ამ ქვეყნებს უკვე დღეს გააჩნიათ მსოფლიოს სტანდარტების დამაკმაყოფილებელი 8 სტადიონი, რომელთა ტევადობაც 30 ათასს აღემატება; უმაღლეს დონეზეა განვითარებული სასტუმროებისა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა; არსებობს უსაფრთხოების სრული გარანტია; ქვეყნები ფინანსურად იმდენად წელგამართულები არიან, რომ ნებისმიერი პრობლემის უპრობლემოდ გადაჭრა შეუძლიათ. მეტი რაა საჭირო? არაფერი, მაგრამ, ცხადია, ვიღაც იმედგაცრუებული დარჩა, ვიღაცამ კი ვერ გაიგო, რატომ დაიწუნეს მისი კანდიდატურა.

მაგალითად, ბრიტანელები აღშფოთებულები დარჩნენ ნახსენები საგანგებო კომისიის დასკვნით, რის საფუძველზეც შოტლანდიამ და ირლანდიამ პირველი ტურიც ვერ გაიარეს. განმარტებამ, რომ მათი სტადიონები მხოლოდ სამ ქალაქშია თავმოყრილი (გლაზგო, ედინბურგი, დუბლინი) და ირლანდი პოლიტიკურად ნაკლებ სტაბილური ქვეყანაა, სქოთები და ირლანდიელები ვერ დააკმაყოფილა.

უნგრელებმა კი დაიჩივლეს, ეს ჩვენი ბოლო შანსი იყოო — 2012 წლისთვის ბრძოლაში ესპანეთი და იტალია ჩაებმებიან და მათთან რას გავხდებითო.

მოკლედ, ავსტრია და შვეიცარია...

**გიორგი დარჯანია**



ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრიდრიხ შტიკლერმა (მარცხნივ) და მისმა შვეიცარიელმა კოლეგა რალფ ზლოკზოვერმა საევროპო ბურთი ჩაიბარეს

# რონალდოს ჯილდო არ ელევა ბალაკი მარად მეორეა



რონალდო

**ბრიტანულმა** ჟურნალმა WORLD SOCCER MAGAZINE-მა წლის საუკეთესოთა საკუთარი ვერსია გამოაქვეყნა. მოგეხსენებათ, ეს ფრიად სოლიდური ჟურნალია და შესაბამისად, მისი ფავორიტობაც ფეხბურთელთათვის საპატიო რამაა.

პირველობა არავის დაუთმო ბრაზილიელმა რონალდომ. მან მკითხველთა 26 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა. ასეთი მაჩვენებელი რონალდოს მიერ მუნდიალზე ჩადენილი გმირობის შედეგია. შეგახსენებთ, რომ, მძიმე ტრავმისა და სამწლიანი პაუზის შემდეგ ბრაზილიელი დიდი ტრიუმფით დაბრუნდა და მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირის სახელი მოიხვეჭა რვა გოლით, მათ შორის ორი ფინალში გატანილით.

ექვსი წლის წინაც, 1996 წელს, WORLD SOCCER MAGAZINE-ის ჯილდო 20 წლის ყმაწვილმა რონალდომ მიისაკუთრა. გარდა ამისა, იგი ორჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ფიფას ვერსიით და წლეულსაც ზინედინ ზიდანთან და ოლივერ კანთან ერთად ფიფასავე ჯილდოს მოპოვების კანდიდატია.

მკითხველთა აზრით, მიმდინარე წელს შრომა არც გერმანელ მიხაელ ბალაკს დაუკლია. ისე, შეიძლება ითქვას, რომ ბაიერნელს დიდად არ სწყალობს ბედი, 2002 მისთვის ვიცე-წელიწადი გამოდგა. ამის დამადასტურებელია მეორე ადგილი ბუნდესლიგაში, გერმანიის თასზე, ჩემპიონთა ლიგაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე და ახლა კიდევ WORLD SOCCER MAGAZINE-ის გამოკითხვაში.

სიაში მესამე ადგილი რონალდოს თანამემამულე, მუდამ მომღიმარ და გულკეთილ რობერტო კარლოსს უჭირავს.

რაც შეეხება წლის გუნდს, აქაც ბრაზილიელები პირველობენ, შემდგომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ტრიუმფატორი მადრიდის „რეალი" და ალბიონზე დუბლის გამხერხებელი „არსენალი" მოდიან.

წლის მწვრთნელის ტიტული კორეელთა ეროვნულმა გმირმა გუს ჰიდინკმა მოიპოვა, პენტაკამპეონთა ყოფილი დამრიგებელი ლუიშ ფელიპე სკოლარი კი ოდენ მეორეა.

**ნინო ჭადაგიშვილი**

| წლის საუკეთესო ფეხბურთელი | | წლის საუკეთესო გუნდი | |
|---|---|---|---|
| 1 რონალდო | 26.17 | 1 ბრაზილია | 24.36 |
| 2 მიხაელ ბალაკი | 17.69 | 2 „რეალი" | 14.44 |
| 3 რობერტო კარლოსი | 8.48 | 3 „არსენალი" | 11.73 |
| 4 ზინედინ ზიდანი | 5.95 | 4 სამხრეთ კორეა | 10.46 |
| 5 ოლივერ კანი | 4.87 | 5 თურქეთი | 8.64 |

| წლის საუკეთესო მწვრთნელი | |
|---|---|
| 1 გუს ჰიდინკი (სამხრეთ კორეა) | 28.38 |
| 2 ლუიშ ფელიპე სკოლარი (ბრაზილია) | 16.78 |
| 3 არსენ ვენგერი („არსენალი") | 14.26 |
| 4 კლაუს ტოპმიოლერი („ლევერკუზენი") | 8.84 |
| 5 რუდი ფიოლერი (გერმანია) | 4.51 |

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | კოტბუსი-დორტმუნდი | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,84 | 1,21 | 1,12 |
| 18.30 | 002 | ბაიერნი-შალკე | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 18.30 | 003 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 18.30 | 004 | ჰანოვერი-არმინია | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-ჰამბურგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.30 | 006 | ბოხუმი-მიუნხენი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 18.30 | 007 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVII ტური

**13 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | ფიურტი-კარლსრუე | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 011 | სტ.პაული-ალემანია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 22.00 | 012 | მაინცი-ბრაუნშვაიგი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 013 | მაინცი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 22.00 | 014 | კიოლნი-ბურგჰაუზენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | უნიონი-ტრიერი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 18.00 | 016 | ფრაიბურგი-დუისბურგი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 017 | როიტლინგენი-აინტრახტი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 18.00 | 018 | ობერჰაუზენი-ალენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 18.00 | 019 | ვალდჰოფი-ლიუბეკი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩები

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 021 | დინამო-ქემნიცი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 17.00 | 022 | ფერლი-ოსნაბრიუკი | 3,0 | 3,0 | 2,3 | | | |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). გადადებული მატჩები

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 023 | ნოინკირხენი-ოფენბახი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 024 | ზიგენი-უნტერჰახინგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტური

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.15 | 025 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 026 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 19.00 | 027 | ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 028 | ჩარლტონი-სიტი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 029 | ევერტონი-ბლეკბერნი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 19.00 | 030 | მიდლსბრო-ჩელსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 031 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 032 | ფულემი-ბირმინგემი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 18.00 | 033 | ტოტენჰემი-არსენალი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 20.05 | 034 | სანდერლენდი-ლივერპული | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,73 | 1,22 | 1,15 |

**16 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 035 | ბოლტონი-ლიდსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIII ტური

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 037 | ბრედფორდი-ნოტინგემი | 3,4 | 3,1 | 2,05 | 1,62 | 1,27 | 1,23 |
| 19.00 | 038 | ბერნლი-როტერჰემი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 039 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 19.00 | 040 | დერბი-ბრაიტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 041 | იფსვიჩი-უოტფორდი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 042 | ლესტერი-მილუოლი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 19.00 | 043 | პრესტონი-გრიმსბი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 044 | რედინგი-შეფილდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 045 | უენსდი-ჯილინგემი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 046 | სტოკი-პორტსმუთი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 19.00 | 047 | უოლსოლი-უიმბლდონი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 048 | ვულვერჰემპტონი-ქოვენტრი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXI ტური

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 049 | ბრენტფორდი-ჩესტერფილდი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 050 | ქრიუ-ბარნსლი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 051 | ჰადერსფილდი-სტოკპორტი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 19.00 | 052 | ლუტონი-კოლჩესტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 053 | მენსფილდი-ბლეკპული | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 19.00 | 054 | ნორთჰემპტონი-ტრანმერი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 19.00 | 055 | ნოტსი-ქუინზ პარკი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 19.00 | 056 | ოლდემი-უიგანი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 057 | პიტერბორო-ჩელტენემი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 19.00 | 058 | პლიმუთი-სუინდონი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 19.00 | 059 | უიკომბი-პორტ ვეილი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 21.35 | 060 | კარდიფი-ბრისტოლი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXI ტური

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 061 | როვერსი-ოქსფორდი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 062 | კარლაილი-რექსემი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 063 | ექსეტერი-სუონსი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 064 | ჰალი-დარლინგტონი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 065 | კიდერმინსტერი-იორკი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 19.00 | 066 | ლეიტონი-ტორკი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 067 | ლინკოლნი-კემბრიჯი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 068 | მაკლსფილდი-რაშდენი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 069 | როჩდეილი-ჰარტლპული | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 19.00 | 070 | სკანთორპი-ბერი | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 071 | შრუსბერი-ბორნმუთი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 072 | საუთენდი-ბოსტონი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |

### იტალია. სერია "A". XIV ტური

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 073 | პიაჩენცა-კიევო | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 23.30 | 074 | ბოლონია-პარმა | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 075 | ბრეშა-პერუჯა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 076 | კომო-მილანი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 18.00 | 077 | ემპოლი-მოდენა | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 18.00 | 078 | ინტერი-ატალანტა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 079 | ინტერი-ატალანტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 18.00 | 080 | რომა-რეჯინა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 081 | რომა-რეჯინა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 082 | უდინეზე-ტორინო | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 23.30 | 083 | იუვენტუსი-ლაციო | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |

### იტალია. სერია "B". XVI ტური

**13 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 084 | კალიარი-სამპდორია | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 085 | ჯენოა-ანკონა | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 18.00 | 086 | ლეჩე-ვიჩენცა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 087 | ლივორნო-კოზენცა | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 18.00 | 088 | მესინა-პალერმო | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 18.00 | 089 | სალერნიტანა-ტრიესტინა | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 18.00 | 090 | ტერნანა-ბარი | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 091 | ვენეცია-კატანია | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 18.00 | 092 | ასკოლი-ნაპოლი | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |

**16 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 093 | ვერონა-სიენა | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |

### იტალია. "C1 A" XVI ტური

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 095 | ალძანო-ტრევიზო | 2,9 | 2,5 | 2,7 | 1,34 | 1,39 | 1,29 |

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 094 | ალბინოლეფე-სპალ | 1,7 | 2,8 | 5,6 | 1,05 | 1,3 | 1,86 |
| 17.30 | 096 | არეცო-პიზა | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 17.30 | 097 | კარარეზე-პრატო | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 17.30 | 098 | ჩიტადელა-პისტოიეზე | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 17.30 | 099 | ლუკეზე-პადოვა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 17.30 | 100 | პროპატრია-ვარეზე | 1,6 | 3,0 | 6,5 | 1,04 | 1,28 | 2,05 |
| 17.30 | 101 | რეჯანა-ლუმეცანე | 2,05 | 2,6 | 4,2 | 1,14 | 1,37 | 1,6 |

**16 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 102 | ჩეზენა-სპეცია | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |

### იტალია. "C1 B" XVI ტური

**15 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
პირველი ორი გოლი სტუმრებმა კუთხურებისას გაიტანეს. ჯერ ალექსიძე აუხტა ანჩაბაძის ჩაწოდებულს საჯარიმოში და თავით შანსი არ დაუტოვა ილურიძეს, 12 წუთის შემდეგ კი იგივე ამისულაშვილმაც მოახერხა — დარასელიას კუთხურისას მეკარის ბაქანზე ფეხდასრიალებულ ფეხბურთელთა შორის რომ ივარგა. ამ ორი გოლით „დინამომ“ ფაქტობრივად მოილია საქმე, მეორე ტაიმის დაწყებიდან ოთხ წუთში დარასელიას შორიდან დარტყმას მოყოლილი გოლის ამბავი კი ყინულზე ასრიალებულ ილურიძეს ჰკითხეთ...

ისე, საინტერესოა, მესამე გოლიდან წუთის მერე სტადიონის სიახლოვეს ჩავლილ გორელს ერთი წითელი ბურთის ამბავი და მატჩის ანგარიში რომ სცოდნოდა, რას მოიმოქმედებდა...



ივო შუშაკი კმაყოფილია: „დინამომ“ პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა

# არ დაიდარდო, გაიტანა გალიარდომ



რაფაელ გალიარდო

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**წინა ტურში** პერუელი დიეგო გონსალესის ერთადერთი გოლით იმარჯვეს რკინიგზელებმა და გუშინაც პერუელის მარჯვენამ მოუტანა მათ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა — ამჯერად თავი რაფაელ გალიარდომ გამოიჩინა.

უბრალო არითმეტიკას თუ მოვიშველიებდით, ამ მატჩში სტუმრებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. ფრე იგივე წაგების ტოლფასი იყო, რადგან მეორე წრეში სეკვესტრირებულ ქულათა მარაგს ეს ქულა ვერაფერს შემატებდა. საჩემპიონო მარათონში ჩაბმული „ლოკომოტივისთვის" ბათუმური მატჩი სხვა მხრივაც იყო დამაინტრიგებელი. გახსოვთ ალბათ, „ბათუმმა" სეზონში პირველი სამი ქულა სწორედ „ლოკომოტივზე" მოიპოვა და ეს მარცხი ჯერაც ვერ მოენელებინათ რკინიგზელთა თავკაცებს.

ბათუმში გვარიანად ციოდა და ტყუილად დგომას, ტყუილად სირბილი სჯობდა. ამიტომაც იყო, სტუმარ-მასპინძელმა ისე გადახნა „დინამოს" ისედაც ატალახებული საფარი, ზამთრის შესვენება რომ არა, იქ ბურთაობა წარმოუდგენელი იქნებოდა.

მოსაგებად დაგეშილმა „ლოკომოტივმა" თავიდანვე შეუტია მეტოქეს, მაგრამ რამდენიმე შორეული დარტყმის გარდა ვერაფერს გამორჩა. ზღვისპირელებმა მალე აუღეს ალღო მომხვდურებს და ერთხანს თამაში გაათანაბრეს. დაახლოებით ტაიმის შუიდან მაინც იძალეს ცაკარიასის შეგირდებმა და თამაშის კონტროლიც ხელთ იგდეს. ოღონდ ეგ არის, ატალახებულ მოედანზე საგოლე მომენტი ვერა და ვერ შექმნეს. ერთადერთი ეპიზოდის გამორჩევა კი უპრიანია— გალიარდომ კიდეგი გაითამაშა სირაძესთან და დასარტყმელად ხელსაყრელი შანსიც მიეცა. კარგადაც დაარტყა, მაგრამ ირაკლი ბალაძემ ახლო კუთხეში აუღო.

აქვე ვთქვათ, რომ ეს ორი მოთამაშე აშკარად გამორჩეული იყო სხვებისგან. პერუელმა იმდენი იმოძრავა მარჯვენა ფლანგზე, ლამის ფილტვების ანთება გაუჩინა მეურვეებს. შორიდანაც გვარიანად ულაწუნა და ლამის ყოველ შეტევაში თავისი წილი დაიდო. ბალაძე რომ არა, „ბათუმი" გაცილებით მეტი სხვაობით წააგებდა. მან ისეთი ბურთები მოიგერია, საკვირველიც იყო.

და მაინც, 58-ე წუთზე ამათ დუელში გამარჯვებული პერუელი დარჩა. ბათუმელთა დაცვამ ბურთი უღიერად მოიგერია და კვარაცხელიამ უმალ საჯარიმოში შეჭრილი გალიარდო მონახა. რაფაელმა ბურთი გაისწორა და დაახლოებით საპენალტოდან ზუსტადაც დაარტყა. ბალაძე ხელით კი წაეპოტინა, მაგრამ ამაოდ.

ამ გოლმა „ლოკომოტივი" გაცილებით აგრესიული გახადა და სულ მალე ორი ჩინებული შანსიც შეიქმნა. ჯერ ორბელაძის თავური ზედ კარის ხაზზე შეაჩერა ბალაძემ, მალე მანვე როგორღაც მოახერხა და კვარაცხელიას სამიოდ მეტრიდან დარტყმულს შესაშური რეაქცია შეაგება. თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ახალგაზრდა მეკარემ სასწაულებრივ მოიგერია ბურთი.

„ბათუმს" მონდომება არ აკლდა არც გოლამდე და არც მას შემდეგ. თუმც ეს საკმარისი არ აღმოჩნდა რკინიგზელთა ორგანიზებული უკანა ხაზის გასარღვევად. ერთადერთხელ მოხდა, რომ ასლან ბალაძის შეგირდები ახლოს იყვნენ გატანასთან. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა დარჩიძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან სცადა ბედი, გაიტანდა კიდეც, დარტყმული ოდნავ ზუსტი რომ გამოსვლოდა.

თამაშის ბოლო წუთები მოჭარბებული დაძაბულობით კი აღინიშნა, მაგრამ ანგარიშის შეცვლის შანსი არც ერთ გუნდს არ შექმნია. „ლოკომოტივმა" ზედმეტი ენერგიის ხარჯვის გარეშე მიიყვანა საქმე მორიგ მოგებამდე და შინისკენ ატალახებული და გახარებული გაეშურა.

ბათუმი. 12 დეკემბერი. 14 საათი. დინამო. 100 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:1 ლოკომოტივი

0:1 გალიარდო (58)

ბათუმი: ი. ბალაძე, მახარაძე, არჩვაძე, მაჭუტაძე, მინდაძე, ხუჯაძე (თურმანიძე 70), ქაცარავა, კობიძე, ტულუში (დარჩიძე 46), როინაძე (ცინარიძე 79), გ. მიქელაძე. სათადარიგონი: ფილიჩკინი, ბეჟანიძე, ყულეჯიშვილი. მწვრთნელი: ასლან ბალაძე

ლოკომოტივი: ლომაია, ბალიაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი, კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი (გომაალეუსი 78), ზ. ლაცაბიძე, სირაძე (რ. ონიანი 73), გალიარდო, კაიდარაშვილი (მ. ბურნაძე 46). სათადარიგონი: იეარდიგე, სოხელია, გოლაური, გოგინაშვილი. მწვრთნელი: ლევან ცაკარიასი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე

ჯარიმა: 10-16; კუთხური: 4-12; კარისკენ დარტყმა: 2-7; კარში დარტყმა: 1-9; თამაშგარე: 4-7



ბათუმის ატალახებულ მოედანზე ბურთის გორება ერთობ რთული საქმე იყო

# მერანს ციკლი ათი წუთით დაერღვა

თბილისი. 12 დეკემბერი. 14 საათი. სინათლე. 50 (ტევადობა 3 000)

## მერანი 3:2 სიონი

1:0 ბაჯელიძე (10), 2:0 მესხი (13), 3:0 კოშკაძე (51), 3:1 გოდერძიშვილი (67), 3:2 დათვაძე (73)

მერანი: ნაჭყებია, ადუაშვილი, მაზანიშვილი, გ. ილურიძე, ჭინჭარაული, დევიძე, მესხი, ი. შენგელია (ბ. ნოზაძე 59), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (ქადაგიძე 62), ბაჯელიძე (გრიგორიევი 85). სათადარიგონი: გ. გაბელია, ბარათა, დათუნაშვილი, გ. მ. რევაზიშვილი. მწვრთნელი: ოთარ გაბელია

სიონი: ყოლბაია, ბაქრაძე, გოგიტაძე, კვაჭაკორია, გ. ჩხაიძე (ხუჭუა 46), კაციაშვილი, გაბისკირია, დაუშვილი (ირემაშვილი 62), დათვაძე, შავგულიძე (კრავეიშვილი 46), დ. გოდერძიშვილი. სათადარიგო: მათიაშვილი. მწვრთნელი: თემურ მახარაძე

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. ბეციაური (დუშეთი); მ. მალაღურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ჯარიმა: 19-7; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 5-2; კარში დარტყმა: 6-5; თამაშგარე: 3-3

კახა შალამბერიძე

**ღლეულს** ყულაბაში ქულების ჩასაჩხრიალებლად ბოლო შანსი ჰქონდათ გუნდებს და თბილისურმა „მერანმაც" იოლად აისრულა წადილი. შესაძლოა, ბევრი ანგარიშმა „მოატყუოს", თუმც აქედანვე გეტყვით, რომ მასპინძლებმა ერთი ამოსუნთქვით სძლიეს მეტოქეს. ერთადერთი „სახიფათო ციკლი" აჭვალელებს 65-ე წუთზე დაეწყოთ და 75-ზე დაუმთავრდათ. ამ ხნის განმავლობაში ბოლნისის „სიონმა" შტურმისმაგვარი მოუწყო მეტოქეს და ანგარიშიც მინიმუმამდე შეუმცირა.

თამაში კი „მერანის" სრული უპირატესობით დაიწყო. დათოვლილ, მოყინულ და ატალახებულ მოედანს მასპინძლებმა იოლად აუღეს ალღო და პირველივე ცამეტ წუთში გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

მეათე წუთზე იოსებ დევიძემ გაუჭრა პასი ფირცხალაიშვილს, რომელიც აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში კი იყო, თუმც სტუმართა გასაკვირად, სად იყო და სად არა, ბურთისკენ ლევან ბაჯელიძე გამოხტა, მეკარე იოლად მოატყუა და ცარიელი კარიც დალაშქრა. ბოლნისელთა პროტესტი ცხადია, უშედეგო გამოდგა — ბაჯელიძემ ხომ თანაგუნდელის აქტიური ოფსაიდი პასიურად აქცია.

ეგ იყო და მომდევნო შეტევას „მერანმა" მეორე გოლიც მიაყოლა. შენგელიას კუთხურიდან ჩაწოდებულს მიხეილ მესხმა დაჰკრა საგოლე თავური და „სიონის" კარის ბადეც შეირხა. ეს მე-13 წუთზე მოხდა.

ზეექვსეულში ადგილდაბევებული „სიონი" გასაქვითად „გაიქაჩა", თუმც ბევრს ვერაფერს გამორჩა. თემურ მახარაძის შეგირდებს პირველ ტაიმში არაფერი გამოსდიოდათ.

მეორე ნახევარი ბოლნისელთა შეტევებით დაიწყო. თამაშში ცვლილებაზე შესული ფეხბურთელებიც კარგად ჩაერთვნენ და მალე იური გაბისკირიამ ააცილა ოდნავ კარს სახიფათო დარტყმული. „სიონიც" თითქოს უკეთ ათამაშდა, თუმც „მერანმა" ერთ-ერთი კონტრშეტევისას კიდევ ერთხელ იმარჯვა — საჯარიმოში ბოლომდე მებრძოლმა გიორგი ილურიძემ ბურთი ფეხთ მოიგდო და ტანმორჩილ ალექსანდრე კოშკაძეს საგოლედ მიართვა — 3:0.

სტუმრებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და მეტოქის კარსაც მიაწვნენ. მალე დავით დათვაძემ გაარტყა ბურთი ძელს.

სწორედ აქედან დაიწყო „სიონის" ბატონობა. გუნდებს მალე მოყინული თოვლიც შემოაღნათ ფეხთ და ბურთის დაჭერაც შედარებით გაიოლდა. 67-ე წუთზე კი ერთ-ერთი შეტევისას საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ლაშა ალუაშვილი „შეეგება" ხელით და მსაჯმაც პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი — დავით გოდერძიშვილმა უნაკლოდ დაარტყა.

ექვსიოდ წუთში იური გაბისკირიას პასი შეიგო დავით დათვაძემ, საჯარიმოს გარეთ ბურთი მკერდით გაისწორა და შეუჩერებლივ ლაზათიანად ამოსცხო. გოლი მართლაც ძალიან ლამაზი გამოდგა.

„სიონს" მატჩის ბოლომდე ერთი შანსიც მიეცა, თუმც გოდერძიშვილის სახიფათო თავურს რევაზ ნაჭყებია ადგილზე დახვდა. გოლის გატანასთან მერანელებიც ახლოს იყვნენ, მაგრამ დევიძეს ძელმა ჩაუკლა სურვილი.

***გიორგი ყიფშიძე, „სიონის" მწვრთნელი:*** „მეტოქემ დამსახურებულად მოგვიგო. მეორე ტაიმში მოედანს შევეგუეთ და თამაშის გამოსწორებაც შევძელით, მაგრამ ანგარიში ვეღარ გავათანაბრეთ. ეს ალბათ, „მერანის" მოდუნების ბრალიც იყო. პირველ ტაიმშიც ასე რომ გვეთამაშა შედეგი სხვა იქნებოდა".

***ოთარ გაბელია, „მერანის" მთავარი მწვრთნელი:*** „ღლევანდელ მატჩს საკმაო პრობლემებით შევხვდით. გუჯაბიძე და რევაზიშვილი ავად არიან. ტრავმირებული გვყავს სამი თავდამსხმელიც, ამიტომ შეტევის ხაზში ლევან ბაჯელიძე ვათამაშე. ბიჭებს რაც შეეძლო ითამაშეს. ბოლოს ვეღარ გაძლეს, მაგრამ ეს მოულოდნელი არ იყო. მათ ხომ მოსამზადებელი ეტაპი საერთოდ არ გაუვლიათ".

ქუთაისი. 12 დეკემბერი. 14 საათი. ტორპედო. 800 (ტევადობა 19500)

## ტორპედო 6:3 გორდა

0:1 გოცირიძე (6), 1:1 პორონბინი (10), 2:1 ასათიანი (19), 3:1, 4:1, 5:1, 6:1 იონანიძე (38, 42პ, 52, 56), 6:2 გოცირიძე (66), 6:3 ქელიძე (73პ.კ.)

ტორპედო: ქანტურია, დ. ქელიძე, მახვილაძე, ავოიანი, დიდავა, ქემოკლიძე, ასათიანი (გამეზარდაშვილი 61), პორონბინი (ჩიჯავაძე 58), იონანიძე, ზვ. ქუთათელაძე, ჭელიშვილი (ლალიძე 51). სათადარიგონი: სტურუა, ჩომახიძე. მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

გორდა: ბედიაშვილი, არსოშვილი, ს. ბურნაძე, ბერიძე, ზვ. ლაბაძე, ჯ. თავბერიძე, ზ. ლაბაძე (ლევაჩლიანი 46), შიოშვილი, ჯელაძე (მიქავა 75), ალადაშვილი (სოხაძე 65), გოცირიძე. სათადარიგონი: ჯანიაშვილი, ზაზაშვილი, ჩოხელი. მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ბერიძე (30), გამეზარდაშვილი (75), ლევაჩლიანი (80)

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ლ. სილაგაძე (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 11-12; კუთხური: 5-2; კარისკენ დარტყმა: 8-5; კარში დარტყმა: 12-6, თამაშგარე: 6-1


სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

თიჯიუილა. 12 დეკემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 15 (მაყურებელი 4 000)

# მეტალურგი 5:0 მილანი

1:0 ენდელაძე (6), 2:0, 3:0 ფოფხაძე (33, 53), 4:0, 5:0 ნიშნიანიძე (57, 85)

| | |
|---|---|
| მეტალურგი: მერკვილიშვილი, გურეშიძე, ორმოცაძე, გაბრიჭიძე, გ. ლონდაძე, გოგაძე, სულაკაძე, ფოფხაძე, კ. თავბერიძე, ნიშნიანიძე, ენდელაძე. სათადარიგო: შველიძე. მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე | მილანი: ასლანიძე, ტარუღაშვილი (ცაავეიშვილი 70), ჯაბუა, აკობია (ჯაფარიძე 54), მეტონიძე, ეგაძე, გ. სამხარაძე, ლაშხაშიძე, ქარჩავა, დანელია (დათუნაშვილი 51), შელეგია. სათადარიგო: გიორგაძე. მწვრთნელი: ალექსანდრე არეშაძე |

მსაჯები: გ. მაისურაძე (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ელეკაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ჯარიმა: 14-16; კუთხური: 5-6; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 10-7; თამაშგარე: 0-5

# ორი საგაზაფხულო

**იუზა კაციტაძე** თერჯოლიდან

**ეჰ,** რა დრო იყო?! რვა ტურის შემდეგ „მეტალურგი" 13 ქულით მე-5 ადგილზე იყო გათამაშების ცხრილში. გუნდი ზეექსეულში მოხვედრაზე ოცნებობდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან" სკანდალურ მატჩს რაც მოჰყვა გეცოდინებათ, ფედერაციამ სასტიკად დასაჯა „მეტალურგი" და მისი ბედის ბორბალიც უკუღმა დატრიალდა. 28 სექტემბრიდან მოყოლებული უპატრონოდ და უფულოდ დარჩენილმა გუნდმა 13 შეხვედრაში 3 ქულაღა შემატა საკუთარ აქტივს და ახლა ზეექსეული კი არა, უმაღლესში ადგილის შენარჩუნება და, უარესიც, საერთოდ ყოფნა-არყოფნა ადარდებს. ზესტაფონურ კლუბს თუ დამფინანსებელი არ გამოუჩნდა, მოგჭამა ჭირი.

გუშინ კი ზესტაფონელებმა მასსავით გაჭირვებულ „მილანს" სძლიეს.

ღამით დანათოვ მოედანს მზე კი აცხუნებდა, მაგრამ თეთრ საფარს ბევრიც ვერაფერი დააკლო. თამაშის მსვლელობისას კი იცვალა ფერი მოედანმა, რომელიც დიდ ტლაპოს დაემსგავსა. უამინდობამ, ცხადია, დიდი პრობლემები შეუქმნა მობურთავეთ, თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ თამაში, რომელიც მზესუმზირის გამყიდველთა ჩათვლით არც მეტი, არც ნაკლები, 15 მოსიერე ჰყავდა, უინტერესო არ გამომდგარა. მეტოქეებმა ქინიანად იბრძოლეს და, მართალია, „მეტალურგმა" დიდი ანგარიშით იმარჯვა, მაგრამ კახელები რომ იმერლებივით იღბლიანი ყოფილიყვნენ, ამხელა სხვაობით ნაღდად არ დამარცხდებოდნენ.

ზესტაფონელებმა მატჩის დებიუტში იხეირეს, ასლანაძემ საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს ვერ მისწვდა, კარიდან გამოსვლისას ფეხი დაუცდა და ენდელაძემაც დრო იხელთა. მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში გაიტანა. როგორც ვთქვით, დამძიმებულ გრუნტზე თამაში ჭირდა და ფეხბურთელებიც ბევრს სცოდავდნენ, თუმცა დროდადრო მაინც ახერხებდნენ ოსტატობის გამოვლენას. მე-20 წუთზე ფოფხაძე გაისარჯა სანაქებოდ, სამ მცველს დაუსხლტა და დარტყმა რომ არ დაეგვიანებია, ასლანაძე თავისიანებს ვეღარ იხსნიდა. წუთში კი ეგაძემ გაინავარდა მარჯვენა ფლანგზე და ზუსტადაც უპასა დანელიას, თუმცა ამას დარტყმა გაუცუდდა. მერე შელეგიას გადაცემაც ვერ გამოიყენა დანელიამ, თავური სუსტი გამოუვიდა და მერკვილიშვილი იოლად დაეუფლა ბურთს. კახელებმა გათანაბრების ორი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ. ნიშნიანიძის გადაცემის შემდეგ მოუსვენარმა ფოფხაძემ მეტოქის საჯარიმოში ორ მცველს და მეკარეს აჯობა. შესვენებამდე ზესტაფონელებს მესამეს გატანაც მართებდათ, თუმცა იონანიძემ ფოფხაძის გადაცემაზე ოდნავ დააგვიანა.

მეორე ტაიმის საწყის წუთებში კახელები აქტიურობდნენ, „მილანმა" ლამის მთელი გუნდით შეუტია და ორი საგოლე მომენტი შექმნა, ოღონდ არც ამჯერად გაუმართლა, ჯერ იყო და ქარჩავამ ვერ დაუფასა სამხარაძეს პასი, ახლოდან ააცილა, შემდეგ კი ჯაბუამ დაარტყა საჯარიმოდან ძლიერად და მერკვილიშვილმა იმარჯვა.

უპირატესობას ისევ მეტალურგები დაეუფლნენ. კახელები ერთ ეპიზოდში გოლს გადაურჩნენ, ენდელაძის დარტყმის შემდეგ მეკარის ხელიდან ასხლეტილი ბურთი ძელს გაეხახუნა. მომდევნო ორი შეტევა კი ზესტაფონელებმა გოლებით დააგვირგვინეს. მცველის მიერ უხეიროდ მოგერიებული ბურთი კართან ახლო ტლაპოში გაეჩხირა, მას ფოფხაძემ მიუსწრო და თავისი მეორე გაიტანა. ოთხ წუთში ენდელაძემ კახელთა საჯარიმოში ფოფხაძეს უპასა, ამან ეფექტურად, ქუსლით დაუგდო ნიშნიანიძეს და 4:0.

უნდა ითქვას, „მილანს" არც ამის შემდეგ დაუყრია ფარ-ხმალი, რამდენჯერმე მწვავე შეტევაც განახორციელეს სტუმრებმა, თუმცა გატანა მაინც არ დასცალდათ. ამასობაში ზესტაფონელებმა მეხუთეც შეაგდეს. ენდელაძე საჯარიმოს კუთხეში დაუხვდა გაბრიჭიძის ფლანგურ გადაცემას და უმალ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ნიშნიანიძეს უპასა, ახალგაზრდამ ვეტერანს გარჯა დაუფასა.

„მეტალურგმა" ალალად მიითვალა 3 ქულა, აქედან ორი გაზაფხულზეც გამოადგებათ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მაშინ ზესტაფონელებს სასჯელის ვადაც გაუვათ.



ტორპედოელმა ზურაბ იონანიძემ (მარჯვნივ) გუშინ ოთხი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში კვლავ პირველია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 18 | 2 | 2 | 50:8 | 56 |
| ტორპედო | 22 | 16 | 4 | 2 | 50:15 | 52 |
| ლოკომოტივი | 22 | 16 | 2 | 4 | 35:10 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 16 | 1 | 5 | 40:15 | 49 |
| სიონი | 22 | 9 | 3 | 10 | 26:27 | 30 |
| კოლხეთი | 22 | 9 | 3 | 10 | 28:33 | 30 |
| მერანი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:37 | 23 |
| დილა | 22 | 6 | 3 | 13 | 17:29 | 21 |
| ბათუმი | 22 | 5 | 5 | 12 | 16:27 | 20 |
| მეტალურგი | 22 | 6 | 1 | 15 | 15:50 | 19 |
| გორდა | 22 | 4 | 1 | 17 | 22:45 | 13 |
| მილანი | 22 | 3 | 4 | 15 | 11:48 | 13 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება. მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს" „ტორპედოსთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 17 - იონანიძე | ტორპედო |
| 15 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11 - დარასელია | დინამო |
| 9 - კოშკაძე | მერანი |
| 8 - შაშგულიძე | სიონი |
| გოდერძიშვილი | სიონი |
| გოცირიძე | გორდა |

# როსტოვი რუსეთის გამოეყო

## რა დროს ბრაზილიაა, როცა საქართველოში ბუდეა

**რუსეთის ჩემპიონატი** დასრულდა თუ არა, ჩრდილო მეზობლებმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საფეხბურთო საქართველოსკენ გამოიხედეს. რუსები ახალი სეზონისთვის გამალებით ემზადებიან და სასელექციო მუშაობასაც აქედანვე შეუდგნენ. ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩებს არაერთი რუსი თუ სხვა უცხოელი სტუმარი დაესწრო, რომლებსაც ქართველი ჭაბუკები თვალში კი მოუვიდათ, მაგრამ მას იქით საქმე აღარ წასულა.

გუშინდელ „ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთს" კი როსტოვული „როსტსელმაშის" ქართველი სელექციონერი ანზორ ჩიხლაძე ადევნებდა თვალს. სტაჟიან ქომაგს მისი თამაში ეგებ ახსოვს კიდეც. 1968 წელს მან კარიერა ქუთაისის „ტორპედოში" დაიწყო, სადაც სამი სეზონი დაჰყო, ერთიც ტყიბულის „მეშახტეში" და მას შემდეგ რუსეთს გადაიხვეწა. „სკა-როსტოვი", დონეცკის „შახტარი", გროზნოს „თერგი", ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 1980 წლამდე ის ამ გუნდებში თამაშობდა. მწვრთნელობა ზუსტად ათი წლის წინ დაიწყო და სადღეისოდ როსტოვული კლუბის მწვრთნელს სასურველ და გამოსადეგ ფეხბურთელთა შერჩევაში ეხმარება. ერთ-ერთ ასეთ ფეხბურთელად ჩიხლაძეს „ვიტ ჯორჯიას" ფორვარდი ლევან მელქაძე ესახება. „როსტსელმაში" იტალიური „სიენადან" დაბრუნებულ ქართველ ფეხბურთელზე, თურმე ნელ-ნელა აგროვებდა ინფორმაციას, ახლა კი რუსული კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი ქართველი სელექციონერის თბილისში გამოგზავნა საგანგებოდ მელქაძის საქმეში სანახავად ისურვა.

ჩიხლაძე ქართველი თავდამსხმელის თამაშით ერთობ კმაყოფილი დარჩა. მართალია, პირად საუბარში როსტოველს არაფერი დაუკონკრეტებია, თუმცა ქართველ საფეხბურთო მოხელეებთან კი თქვა, მთელი რუსეთი ბრაზილიელი და აფრიკელი ფეხბურთელებისკენ იყურება და ვერ გამიგია, ქართველები რატომ დაივიწყეს, აქ ხომ ტალანტების ბუდეა. მაგალითად, მელქაძე თუ „როსტსელმაშში" წამოვა, დიდად კმაყოფილი დავრჩებითო.

ჩვენ კი ისიც შევიტყვეთ, რომ „როსტსელმაშის" ქართველი სელექციონერი და „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა მელქაძის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით ერთმანეთს წუხელ უნდა შეხვედროდნენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# აღარც ნაკრები, აღარც ტორპედო

## საჯაია ჩამოატრანსფერეს

**მოსკოვის „ტორპედომ"** კავკასიური ეროვნების პირები ტრანსფერზე დააყენა — სომეხი კირილ გრიგორიანი და ქართველი ედიკ საჯაია.

საჯაია შარშან გადავიდა „ვიტ ჯორჯიადან" მოსკოვურ გუნდში და „ტორპედოში" უმეტესწილად შეცვლებზე უწევდა თამაში. თუმცა ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარსარდალი მაინც იწვევდა ედიკს და მარჯვენა ფლანგსაც მას აბარებდა.

მაგრამ შვეიცარიასთან წაგების შემდეგ საჯაია, რომელსაც ახალგაზრდულშიც უთამაშია, ეროვნულ გუნდში აღარ მიუწვევია ალექსანდრე ჩივაძეს.

22 წლის საჯაია კვლავაც „ტორპედოს" საკუთრებაა, მაგრამ მსურველ კლუბს მოსკოველები იმედია, ძალიან ძვირად არ დაუფასებენ ქართველ მცველს.

**დავით თავართქილაძე**



ედიკ საჯაია

# ახალგაზრდული ნაკრების გამოიზამთრებს

**15 დეკემბერს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაში იყო დაგეგმილი თბილისის „ლოკომოტივთან", მაგრამ შეხვედრა არ გაიმართება.

მოგეხსენებათ, ოლიმპიურ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — რევაზ არველაძე ამ დაგეგმილ მატჩამდე რამდენიმე ვარჯიშის ჩატარებასაც აპირებდა, მაგრამ შესაფერისი სტადიონი უამინდობის გამო არ გამოჩნდა — ისეთი, სადაც ვარჯიშების შემდეგ ზემოხსენებული თამაშიც გაიმართებოდა.

ასე რომ, არველაძის ნაკრები წლეულს ვეღარ მოასწრებს ვარჯიშსა და თამაშს — ფეხბურთელებიც ხომ რამდენიმე დღეში შვებულებაში გავლენ.

**დავით თავართქილაძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბებერმა მომთვინიერებელმა ქართველებს დათვები მიუსია




REUTERS

პორტლენდელმა სკოტი პიპენმა ნიუჯერსელ კენიონ მარტინს შემოურბინა

11 დეკემბერი

**მემფისი 96:93 დენვერი**
მემფისი: უილიამსი (16), პირსონი (14), გუდენი (14), გასოლი (18), რაიტი (14); სვიფტი (10), უოტსონი (6), გირიჩეკი (4), ბატისტი
დენვერი: ვიტნი (9), პოუზი (14), ბოუენი, ჰოვარდი (22), ბლუნტი (2); ჰარვი (23), ჰარინგტონი (11), ვაიტი (4), ილარიო (4), ცქიტიშვილი (20 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა), იარბრო, სატერფილდი

**სან ანტონიო 111:104 დალასი**
სან ანტონიო: პარკერი (32), დანკანი (22)
დალასი: ფინლი (36), ნეში (21)

**ფილადელფია 88:92 სიეტლი**
ფილადელფია: აივერსონი (26)
სიეტლი: პეიტონი (20), ლუისი (20)

**მილუოკი 119:126 ინდიანა**
ძირითადი დრო 114:114
მილუოკი: ალენი (26), კასელი (25)
ინდიანა: ონილი (30), ტინსლი (21)

**ბოსტონი 94:103 ფინიქსი**
ბოსტონი: უოლკერი (31), დელკი (18)
ფინიქსი: მარიონი (32), სტუდემაიერი (19)

**კლივლენდი 96:83 ტორონტო**
კლივლენდი: ვაგნერი (33), დევისი (22)
ტორონტო: ლენარდი (24)

**ნიუ ჯერსი 105:104 პორტლენდი**
ნიუ ჯერსი: კიდი (27 ქულა, 12 პასი), ჯეფერსონი (22 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი)
პორტლენდი: პატერსონი (26), პიპენი (16)

**დეტროიტი 91:80 ატლანტა**
დეტროიტი: ჰამილტონი (32), რობინსონი (21)
ატლანტა: აბდულ-რაჰიმი (21)

ვლადიმერ სტეფანიას „მაიამის" მაიამშივე დამარცხებიდან ერთ დღეში მემფისელმა „დათვებმა" მეორე ქართული გუნდი, „დენვერ ნაგიტსიც" დატორეს და ამ გამარჯვებით გვარიანადაც გაიხარეს. „მემფისი" „დენვერის" საცხრილო მეზობელია, მასზე ქვევითაა და ერთი სული აქვს, როდის გადაასწრებს. ახლა „დათვებს" ხუთი გამარჯვება უჩხრიალებთ, „ოქროს ზოდებზე" ერთით ნაკლები და ღრმად სწამთ, მალე დენვერელებზე ალზევდებიან. „ვფიქრობ, ჩვენ უკეთესი გუნდი ვართ, ვიდრე ცხრილიდან და შედეგებიდან ჩანს. არავის ეწყინოს და, ცოტა უკეთეს ადგილს ვიმსახურებთ შუა-დასავლეთის დივიზიონში" — ამბობს „მემფისის" მწვრთნელი ჰუბი ბრაუნი. ბატონი ჰუბი თუმც 69 წლის ბერიკაცია, სამწვრთნელო საქმეში ახალბედაა, ცხოვრებაში პირველად აბარია ნბა-ს კლუბი. აი, ჰუბიმ ორი თამაში ზედიზედ მოიგო და სულ 5 გამარჯვება დაუგროვდა 12 მარცხის წილ, რაც მის ფიქრებს ოპტიმიზმის უხვი დოზით კმაზავს.

ისე კი, თუ სიმართლე გინდათ, ამ თამაშში მაინცდამაინც არ ჩანდა „მემფისის" უპირატესობა, შემადგენლობით მასზე კი არა, ყველა სხვაზე უარეს „დენვერზე". ასევე ახალბედა მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკის გაწვრთნილები სიქას აცლიდნენ ნიჭიერი ჯეელებით გადაჭედილ „მემფისს" და ერთი ხანობა 16-ქულიანი უპირატესობაც დაათმობინეს.

ჰუბი ბრაუნი კი ამ ძლივს, 3 ქულით მოგებულ თამაშს პრაგმატულად უდგება და გაცისკროვნებული სახით უთქვამს ჟურნალისტებისთვის: „ბიჭებო, მერწმუნეთ, პირველი, რაც ნბა-ში ვისწავლე, ისაა, რომ არ უნდა მიაქციო ყურადღება იმას, თუ რამდენი ქულით მოიგე თამაში. რამდენიმე დღეში არავის გაახსენდება სამი ქულით მოიგე თუ 30-ით, მთავარია, მოიგო და ამისგან უნდა მიიღო სიამოვნება".

„მემფისი" გამარჯვებას მცმუკავ თეთრ გამთამაშებელ ჯეისონ უილიამსს უნდა უმადლოდეს. ამ ჯეელმა ტრავმის გამო ბოლო სამი თამაში გამოტოვა და მისგან განსაკუთრებით ბევრს არავინ ელოდა. უილიამსმა კი ივარგა, 16 ქულა გაილო, თან აქედან ხუთი შეხვედრის ბოლო 36 წამში. სირენამდე ნახევარ წუთზე ცოტა მეტი რომ რჩებოდა, უილიამსმა სამქულიანი ესროლა და ანგარიში 93:93 გაათანაბრა. „დენვერმა" გააფუჭა თავისი შეტევა და სტუმრები იძულებულნი იყვნენ, დროის მოგების მიზნით უილიამსზე დაჯარიმებულიყვნენ. ამანაც ორი საჯარიმო ჩააგდო, მერე ვიღაც მისიანმა ერთიც გაშანსა და „მემფისმა" საბოლოოდ 96:93 იმარჯვა.

ამ შეხვედრაში საკმაო ხნით ითამაშა „დენვერის" ქართველმა ახალბედამ ნიკა ცქიტიშვილმა. ქართველი ფორვარდი ღიღხანს შერჩა მოედანს და თამამადაც უტევდა „დათვებს", მაგრამ სროლების დიდ ნაწილს ვერ ახვედრებდა მიზანში, 9 სროლიდან ორი ჩააგდო და შეხვედრა 4 ქულით დაასრულა. ასევე ოთხი ქულა მოუგროვდა ნიკას კბილა ნენე ილარიოსაც. ცხადია, ეს არცთუ ბევრია, მაგრამ მწვრთნელ ბზდელიკს მათ მიმართ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, ყოველ შემთხვევაში, პრესაში მაინც. „ჩვენ არცთუ ურიგოდ ვთამაშობთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გამოუცდელი მოთამაშე გვყავს და ეს დიდ სამომავლო იმედს გვაძლევს" — თქვა ბზდელიკმა.

საინტერესოდ წარიმართა და დასრულდა დღის სხვა შეხვედრები. „სან ანტონიო" ამ სეზონში ძველებურად ვეღარ თელავს მეტოქეებს, მაგრამ არც ძალიან დაძაბუნებულა და ეს თუნდაც „დალასის" ძლევიდანაც ჩანს. „დალასს" წინა თამაშში ტრავმააკიდებული პირველმექულე და მთავარი მომხსნელი დირკ ნოვიცკი აკლდა და თუმც ძალიან არ სურდა, მაინც წაავო თანაშტატელთან. სანანტონიოელთა 20 წლის ღლაპმა გამთამაშებელმა, ფრანგმა ტონი პარკერმა ორწლიან კარიერაში უმეტესი, 32 ქულა ჩაუგდო მიმდინარე სეზონის უყოჩაღეს გუნდს, აქედან შვიდი ბო ული წუთში და ყველა საჯარიმოებით. „დალასს" ვერაფერში გამოადგა მაიკლ ფინლის 36 ქულა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, 17 ქულა, პატრონმა ბოლო 12-წუთეულში მოინაგრა. „დალასისთვის" ეს წლეულს მხოლოდ მესამე მარცხი იყო.

მიმდინარე სეზონში შინ პირველად წააგო „ფილადელფია სიქსერზმა", რაც დასავლელი სტუმრის „სიეტლ სუპერსონიქსის" ბრალია. სიეტლელმა სუპერდამცველმა გერი პეიტონმა კარგად უმეურვევა მასპინძელთა ჭინკა ლიდერ ალენ აივერსონს და მართალია, ამან მაინც ჩააგდო 26 ქულა, სამაგიეროდ, 16 სროლა გააფუჭა. მატჩის ბედის გადამწყვეტი ბურთი კი სამქულიან ხაზს მიღმიდან მოათავსა კალათში სიეტლელთა ჩაუქმა მსროლელმა ბრენტ ბერიმ.

ფილადელფიელთა მარცხით მსწრაფლვე ისარგებლა „ნიუ ჯერსი ნეთსმა", შინ ომი მოუგო „პორტლენდს" და ატლანტის დივიზიონში პირველი ადგილი დაიბრუნა. თან ნიუჯერსელებს ამაში დივიზიონის მესამე ყოჩის, „ბოსტონის" მოულოდნელმა მარცხმაც წაუკრა ხელი.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 15 | 7 | 68,2 |
| ფილადელფია | 15 | 7 | 68,2 |
| ბოსტონი | 14 | 7 | 66,7 |
| ორლანდო | 12 | 11 | 52,1 |
| ვაშინგტონი | 9 | 12 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 6 | 13 | 31,6 |
| მაიამი | 5 | 16 | 23,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 16 | 5 | 76,2 |
| ნიუ ორლეანი | 15 | 7 | 68,1 |
| დეტროიტი | 13 | 7 | 65,0 |
| ატლანტა | 10 | 11 | 47,6 |
| მილუოკი | 9 | 12 | 42,9 |
| ტორონტო | 7 | 14 | 33,3 |
| ჩიკაგო | 6 | 15 | 28,6 |
| კლივლენდი | 4 | 19 | 17,4 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 19 | 3 | 86,4 |
| ჰიუსტონი | 12 | 8 | 60,0 |
| სან ანტონიო | 13 | 9 | 59,1 |
| იუტა | 12 | 9 | 57,1 |
| მინესოტა | 12 | 10 | 54,5 |
| დენვერი | 6 | 16 | 27,3 |
| მემფისი | 5 | 18 | 21,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 18 | 6 | 75,0 |
| სიეტლი | 12 | 10 | 54,5 |
| ფინიქსი | 11 | 10 | 52,4 |
| პორტლენდი | 10 | 10 | 50,0 |
| კლიპერსი | 9 | 13 | 40,9 |
| ლეიკერსი | 9 | 14 | 39,1 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 13 | 38,1 |



## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები ჯგუფური ეტაპი. V ტური

**A ჯგუფი:** მაგდებურგი (გერმანია) — პანელინიოსი (საბერძნეთი) 30:29; ფოტექსი (უნგრეთი) — ვისლა (პოლონეთი) 38:24

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ფოტექსი | 5 | 0 | 0 | 135:100 | 10 |
| მაგდებურგი | 4 | 0 | 1 | 152:138 | 8 |
| პანელინიოსი | 1 | 0 | 4 | 105:124 | 2 |
| ვისლა | 0 | 0 | 5 | 139:169 | 0 |

**B ჯგუფი:** პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) — შახტარი (უკრაინა) 34:21; კოლდინგი (დანია) — პალამანო (იტალია) 30:22

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| პორტლენდი | 4 | 0 | 1 | 148:112 | 8 |
| კოლდინგი | 4 | 0 | 1 | 148:120 | 8 |
| პალამანო | 1 | 1 | 3 | 127:148 | 3 |
| შახტარი | 0 | 1 | 4 | 108:151 | 1 |

**C ჯგუფი:** პრული (სლოვენია) — კარვინა (ჩეხეთი) 34:27; მონპელიე (საფრანგეთი) — ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 25:24

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| მონპელიე | 5 | 0 | 0 | 142:131 | 10 |
| პრული | 3 | 0 | 2 | 150:145 | 6 |
| მედვედი | 1 | 0 | 4 | 142:147 | 2 |
| კარვინა | 1 | 0 | 4 | 144:155 | 2 |

**D ჯგუფი:** კილი (გერმანია) — ფიბრექსნეილონი (რუმინეთი) 37:28; ზაგრები (ხორვატია) — ვარდარი (მაკედონია) 30:25

| | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| კილი | 4 | 0 | 1 | 151:122 | 8 |
| ფიბრექსი | 2 | 1 | 2 | 139:136 | 5 |
| ზაგრები | 2 | 1 | 2 | 128:130 | 5 |
| ვარდარი | 1 | 0 | 4 | 126:156 | 2 |

**ვადამდე** ორი ტურით ადრე მეოთხედფინალის საგზურდაბევებულ „ფოტექსს" და „მონპელიეს" გასულ უქმეებზე ხუთი გუნდი შეუერთდა. ასე რომ, ვაკანტური ერთი ადგილიღა დარჩა და „D" ჯგუფიდან მეორე გამსვლელის ვინაობაც დასკვნით ტურში, კვირას გაირკვევა.

სატურნირო ვითარების მიხედვით, „ფიბრექსნეილონი" და „ზაგრები" ერთნაირ პირობებში არიან, ამასთან ორივე კლუბი ბოლო შეხვედრას სტუმრად გამართავს (შესაბამისად, „ვარდართან" და „კილთან"), მაგრამ მათი მეტოქეების დონის გათვალისწინებით, რუმინეთის ჩემპიონის შანსი უკეთესი ჩანს.

ნახსენებმა „ფოტექსმა" და „მონპელიემ" კი მორიგი მოგებები მიითვალეს და კვლავ უდანაკარგოდ მიიწევენ წინ. აღსანიშნავია, რომ უნგრეთის ჩემპიონმა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში სარეკორდო, 14-ბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა, ხოლო გუნდის მთავარმა მეგოლე მირზა ძომბამ პოლონელთა მეკარე ანჯეი მარშალეკს 12-ჯერ გაუტანა და 44 გოლით კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს ბომბარდირთა შორის.

## ევროპის ჩემპიონატი. ქალები დანია. 6-15 დეკემბერი

# დიასახლისი მამასახლისობს

| A ჯგუფი | | | | | | B ჯგუფი | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| **დანია 26:20 ავსტრია** | | | | | | **ნორვეგია 34:24 სლოვენია** | | | | | |
| **იუგოსლავია 39:24 უკრაინა** | | | | | | **რუსეთი 29:19 ჩეხეთი** | | | | | |
| **საფრანგეთი 29:26 რუმინეთი** | | | | | | **უნგრეთი 30:25 გერმანია** | | | | | |
| დანია | 4 | 0 | 0 | 98:83 | 8 | ნორვეგია | 4 | 0 | 0 | 111:80 | 8 |
| იუგოსლავია | 3 | 0 | 1 | 128:101 | 6 | რუსეთი | 3 | 0 | 1 | 111:94 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | 99:94 | 6 | უნგრეთი | 3 | 0 | 1 | 123:118 | 6 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 3 | 101:107 | 2 | სლოვენია | 1 | 0 | 3 | 102:116 | 2 |
| ავსტრია | 1 | 0 | 3 | 96:102 | 2 | ჩეხეთი | 1 | 0 | 3 | 90:109 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 4 | 87:122 | 0 | გერმანია | 0 | 0 | 4 | 91:111 | 0 |

**ტურნირს** ოთხი ფავორიტი ჰყავს — ოლიმპიური ჩემპიონი ნორვეგია, მსოფლიოს ჩემპიონი რუსეთი, ევროპისა უნგრეთი და მასპინძელი დანია.

როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, მასპინძლები იოლ ჯგუფში აღმოჩნდნენ, სამეულს კი ერთმანეთში დიდი დაკა-დაკა აქვს გაჩაღებული და რადგან პლეი ოფში ორი გუნდი გადის, ბუნებრივია, ერთ-ერთი უძლიერესი ვადამდე გამოაკლდება საჩემპიონო ბრძოლას. მესამე ზედმეტი კი, ეტყობა, უნგრეთი იქნება, ვინაიდან რუსთა ნაკრებს არ უნდა გაუჭირდეს სლოვენიელების ძლევა, ხოლო თავად მადიართაგან ოლიმპიური ჩემპიონების 13-ბურთიანი სხვაობით წაქცევა წარმოუდგენელი საქმეა.

ბოლოსწინა ტურში მოულოდნელობა არ მომხდარა, ყველა წინ მდგომმა ადვილად გაიმარჯვა და ნახევარფინალში გამსვლელთა ვინაობაც მხოლოდ დასკვნით შეხვედრებში გაირკვევა.

აღსანიშნავი ისაა, რომ შეიცვალა ლიდერი ბომბარდირთა შორის. ლიტვური წარმოშობის ავსტრიელმა აუშრა ფრიდრიკასმა დანიელებს ცხრაჯერ გაუტანა, 45 გოლი დაუგროვდა და ერთით გაასწრო უნგრელ აგნეშ ფარკაშს, რომელმაც მხოლოდ სამჯერ შეძლო გერმანელთა დაწიოკება.

ბოლოს იმაზეც, რომ დასრულდა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. აზერბაიჯანის ნაკრებმა ბაქოში მაკედონიელები 32:31 კი დაამარცხა, მაგრამ ჯგუფში მაინც ბოლო, მეოთხე ადგილზე დარჩა. მასპინძელთა შორის აჯერადაც საუკეთესო იყო ათი გოლის გამტანი ნინო წივწივაძე, რომელიც მეორე წელია, ჩვენი მეზობელი ქვეყნის სახელით ასპარეზობს.




ნორვეგიელთაგან ერთ-ერთი ყველაზე შემტევი და შედეგიანი ინგე ტუენი



REUTERS

გამარჯვებულ მარიტ ბიორგენს პირველმა მავანმა გაბურძგნულმა კლუზონელმა ფანმა მიულოცა

# მოკლე-მოკლეებზე სრიალი

## რუსი ქალებისთვის გრძელი და ცოტა მოკლე ერთია

მსოფლიო თასისთვის მოპაექრე ქალმებიატლონეთა პირველი გუნდური ეტაპი, რომელმაც იმ დღეს ოსტერსუნდში ჩაისრიალ-ჩაისრიალა, რუსული მდედრიონის შეუცილებელი გამარჯვებით დამთავრდა.

საეტაპო 24 კილომეტრის დაფარვასა და სასროლეთზე ჩუბინობას რუსქალებმა — სვეტლანა ჩერნოუსოვამ, გალინა კუკლევამ, ირინა მალგინამ და სვეტლანა იშმურატოვამ საათი და 21,03 წუთი მოანდომეს.

მათ ორი წუთითა და 8,1 წამით ჩამორჩნენ გერმანელები, რომელთაგანაც ავად გამოირჩა სამი მიზნის ამცილებელი და შედეგად სამ საჯარიმო წრეზე სადღაც წუთნახევრის გამფლანგავი სიმონე დენკინგერი. მესამე ადგილი ბულგარელთა ოთხეულს ერგო. სამხრეთსლავებმა რუსებთან შედარებით ორი წუთითა და 26,2 წამით დააგვიანეს.

რბოლა თავისთავადაც საინტერესო გამოდგა, ხოლო კიდევ უფრო მეტი ხიბლი ალაგის თავისებურებათა გამოც შეიძინა. ოსტერსუნდი ხომ არქტიკული წრის მახლობლად მდებარეობს და — სხვა თუ არაფერი — სტარტზე რომ გაგანია მზე იყო, ფინიშისას უკვე ელექტრონი ციმციმებდა...

თუმცა იქაური თოფთხილამურობა მხოლოდ ამით არ გამორჩეულა — ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციამ შეჯიბრების გასამძაფრებლად საესტაფეტო მონაკვეთთა დამოკლება გადაწყვიტა და ქალებსაც 7,5-7,5-კილომეტრიანი ეტაპების მაგიერ პირველად მოუხდათ 6-6 კილომეტრიანებზე შლიგინი.

## ვიკინგები გაქუცულ აქლემზე

ნორვეგიელმა მოთხილამურეებმა თავიანთი ოქროსაცავი იტალიურ კლუზონეშიც გაიმდიდრეს. იქ ამ დღეებში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი მიმდინარეობს და ვიკინგთაგან ამჯერად სპრინტერები — ოლიმპიური ჩემპიონი არნე ჰეტლანდი და მარიტ ბიორგენი გალაღდნენ.

ოთხკაცა ფინალში ჰეტლანდმა გერმანელ ზომერფელდტსა და შვედ ანდერს ჰოიგბერგს აჯობა. შვედივე იორგენ ბრინკი, ვინაც შესარჩევებში 750-მეტრიანი ბილიკი უსწრაფესად დაფარა, უკანასკნელ ადგილს დააჯერეს.

რაც შეეხება ბიორგენს, მან ფინიშთან გერმანელ კლაუდია კუნცელს და ორ თვისტომს — მაი ჰელენსა და ოლიმპიურ მებრინჯაოვე ანიტა მოენს მიუსწრო.

სხვაფრივ — უთოვლობის გამო კლუზონეს ველები გაქუცულ აქლემს მიაგავდა, ამიტომაც იქაურ მახვშებს თოვლის კიდევ უფრო მაღალმთიანეთიდან მოზიდვა დასჭირდათ.

**ლადო გუდაური**



REUTERS

არნე ჰეტლანდმა რენე ზომერფელდტს ერთი წრიაპით მიასწრო



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

# რეინჯერსი ბავშვებს აწვალებს

# მეკარეზე ხალტურა არ შეიძლება

11 დეკემბერი

**რეინჯერსი 3:4 ჩიკაგო 0:2 1:1 2:1**

**0:1 ფლერი (14), 0:2 დაზე (18), 1:2 სამუელსონი (22), 1:3 დაზე (28), 1:4 დაზე (52), 2:4 ნედვედი (56), 3:4 ფატა (58)**

რაც მოგივა დავითაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ცხადია, რეინჯერსის ბოსებს შეუძლიათ, ყველაფერი ლიდერების ტრავმებს გადააბრალონ. ერთბაშად ოთხი ლიდერის — მეკარე მაიკ რიხტერის, მცველ ბრაიან ლიჩის, ფორვარდების, მარკ მესიეს და პაველ ბურეს (რუსმა უქმეებზე მრავალჯერ ნამკურნალევი მუხლი კვლავ იტკინა, თუმც შესაძლოა, სეზონის გაცდენას გადაურჩეს) დაკარგვა ნებისმიერ გუნდს დაასუსტებდა, მაგრამ ისიც ხომ მშვენივრად იცოდნენ, რომ რიხტერი ხშირად ტრავმიანობს და განა მდიდარ რეინჯერსს გაუჭირდებოდა ღირსეული დუბლიორის მოძებნა? მაგრამ... მე-17 მატჩია, 19 წლის დენ ბლექბერნი დგას კარში. ცხადია, ნიჭიერი ნორჩი მეკარე ასეთ დატვირთვას ვერ უძლებს და ამჯერადაც სწორედ მისმა გაშვებულმა ორმა ადვილად ასაღებმა გოლმა განაპირობა მატჩის ბედი. პირველი პერიოდის შემდეგ კი დენი კიდევ უფრო გამოუცდელმა იოჰან ჰოლმკვისტმა შეცვალა, რომელმაც ერიკ დაზეს ჰეთ თრიქის შესრულებაში ხელი ვერ შეუშალა.

კვლავ გამოირჩა ტეო ფლერი. დისკვალიფიკაციის შემდეგ მას 4 მატჩში 3 შაიბა და 1 პასი დაუგროვდა.

**დალასი 0:3 ლოს ანჯელესი 0:1 0:2 0:0**

**0:1 დედმარში (7), 0:2 ელისონი (23), 0:3 პალფი (30)**

დალასი დასავლეთის ლიდერია, მაგრამ ლოს ანჯელესისთვის მძიმე მეტოქე როდია. „მეფეებმა“ წლეულს მეორედ დატოვეს ხახამშრალი მისი მრისხანე თავდასხმა. ჯეისონ ელისონისა და ადამ დედმარშის გამოჯანმრთელების შემდეგ აღდგენილმა პირველმა სამეულმა კი დიდებულად ითამაშა და სამივე გოლი თავის აქტივში ჩაიწერა.



კოლორადოელი ჯო საკიკის მე-500 გოლი

**ფინიქსი 4:2 ატლანტა 0:1 2:1 2:0**

**0:1 ტრამბლე (7), 0:2 პრკაჩი (28), 1:2 მარკოვი (33), 2:2 ნადი (33), 3:2 დოუნი (43), 4:2 უილსონი (58)**

რაოდენ მძიმე მდგომარეობაშიც უნდა ჩავარდეს ფინიქსი, გუნდის თავკაცი ბობ ფრენსისი ხელშეუხებელია და შეუძლია, მშვიდად იყოს. „იგი წინა სეზონის საუკეთესო მწვრთნელია და როგორ შეიძლება, ასეთ კაცს გადავაბრალოთ ჩვენი პრობლემები“ — განაცხადა გუნდის ერთ-ერთმა მფლობელმა, დიადმა უეინ გრეცკიმ და დასძინა, რომ მისი გუნდიდან გაშვება დიდი სისულელე იქნებოდა. გრეცკის აზრით, უიღბლობის მთავარი მიზეზი ძირითადი მოთამაშეების (პირველ ყოვლისა, მეკარე შონ ბურკის) ტრავმებია და ყველაფერი გამოსწორდება. ბოსის ასეთი მხარდაჭერის შემდეგ „კოიოტებს“ წაგების უფლება არ ჰქონდათ.

**ედმონტონი 4:1 კაროლინა 0:0 3:0 1:1**

**1:0 რ. სმიტი (28), 2:0 კომრი (35), 3:0 იორკი (39), 4:0 იორკი (49), 4:1 ჰილი (51)**

**ანაჰაიმი 3:0 ვაშინგტონი 1:0 1:0 1:0**

**1:0 ოლაუსონი (17), 2:0 ტრნკა (26), 3:0 მაკდონალდი (60)**

**ვანკუვერი 3:1 კოლორადო 2:0 1:1 0:0**

**1:0 ოლუნდი (5), 2:0 მორისონი (11), 2:1 საკიკი (25), 3:1 დ. სედინი (36)**

ჯო საკიკის მე-500 გოლმაც ვერ იხსნა კოლორადო მარცხისგან. „განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ეს გოლი სწორედ აქ გავიტანე, სადაც ბევრი ქომაგი მყავს“ — თქვა მატჩის შემდეგ საკიკმა, რომელიც სწორედ ვანკუვერის გარეუბან ბარნაბიში დაიბადა.

**სამველ ლარიბიანი**

# ფიოდოროვს კურნიკოვას გახსენებაც არ უნდა

**კარგა ხანია,** ანა კურნიკოვასა და დეტროიტის ფორვარდ სერგეი ფიოდოროვის სახელებს ერთად აღარ ახსენებენ, თუმც ანას ჩრდილი დღემდე დაჰყვება „წითელფრთიანთა“ ლიდერს. ამას წინათ კლუბმა ფიოდოროვს საკმაოდ ხელსაყრელი ხელშეკრულება შესთავაზა (წინა კონტრაქტის ვადა ივლისში იწურება), რომლის თანახმადაც რუსი 5 წლის განმავლობაში 50 მილიონ დოლარს მიიღებდა, მაგრამ მან იუარა. ცოტა მოგვიანებით „ოტავა სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სერგეიმ თავად ახსნა ეს ფაქტი, თქვა, აგენტის გამოცვლას ვაპირებ და მერე შევუდგები მოლაპარაკებასო, თან დასძინა, რომ ეს მისი საქმიანი გადაწყვეტილებაა და სხვა, პირადულ მიზეზებზე ლაპარაკს არ დაიწყებს. აბა, ჟურნალისტებს რას გამოაპარე, ჰოდა, „ოტავა სანის“ განმარტებით, ფიოდოროვის აგენტები — ბრაიან ლოუტონი და მაიკ ლიუტი კურნიკოვას წარმომადგენლებიც ყოფილან და თავის დროზე მათ გააცნეს ერთმანეთს ანა და მისი ამჟამინდელი ბოიფრენდი, ცნობილი მომღერალი ენრიკე იგლესიასი. აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული!





# კალგარი ბებერ ბოუმენს ეარშიყება

**ამას წინათ** კალგარიმ მწვრთნელი გრეგ ჯილბერტი რომ დაითხოვა, იგი იან მაკნილმა შეცვალა, თუმც არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ვერც ის დარჩება დიდხანს გუნდის მწვრთნელად. ამასობაში კი კლუბის მესვეურთ თვით სკოტი ბოუმენის მიპატიჟება განუზრახავთ. გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ ბატონმა დეტროიტელი კოლეგებისგან მიიღო თანხმობა და საკმაოდ ენერგიულად შეუდგა დიად მწვრთნელთან მოლაპარაკებას, თუმც 69 წლის ბოუმენისგან კატეგორიული უარი მიიღო. დღესდღეობით დეტროიტში კონსულტანტად მომუშავე სპეციალისტმა განაცხადა, რომ სრულიად კმაყოფილია თავისი დღევანდელი ყოფით. ეგებ ბოუმენს დიად გუნდთან მუშაობის შემდეგ რიგით კალგარის წვალება სულაც არ ეპიტნავება, მაგრამ ამას ხმამაღლა ხომ არ იტყვის.

# დიდი სერფობა

ჰავაის კუნძულთა ნაპირებზე ახლა დიდი სერფობაა გახურებული და ერთბაშად რამდენიმე დიდი ტურნირი მიმდინარეობს. ფოტოზეა ჰავაელი ბრაიან პაჩეკო, რომელიც ამ ურა-ტალღებზე მიმდინარე „იქსბოქს ფაიფლაინ მასთერზის" 46-დან ერთ-ერთი მონაწილეა.



REUTERS ჰავაიდან



# საშობაოდ

მოახლოვდა შობა და ენბიეის ვარსკვლავებმაც იწყეს დენა თავთავიანთი ქალაქების საავადმყოფოებში, სადაც პატარებს გასჭირვებიათ და ეგებ საშობაოდაც პალატებში დარჩნენ. ამიტომაც ენტონი კარტერი მაიამის ჯექსონის მემორიალურ ჰოსპიტალშია და პატარებს არათუ მხოლოდ საჩუქრებს ურიგებს, ზღაპრებსაც კი უყვება.



# წლის კაცი

დიდი ამერიკული ჟურნალის „სპორტს ილუსტრეიტიდის" წლის კაცად „ტურ დე ფრანსის" კიდევ ერთხელ მომგები ლენს არმსტრონგი გამოცხადდა. ლენსს პრიზი სულ ხითხითით გადასცა დიდმა კომიკოსმა რობინ უილიამსმა.



REUTERS ბევერლი ჰილზიდან

# სკოტი დავინახეთ

რამდენი ხანია, თვალი არ მოგვიკრავს ფიგურული სრიალის ოდინდელი დიდოსტატის, სკოტ ჰამილტონისთვის, ის კიდევ ამასობაში გამელოტებულა. სკოტ ჰამილტონი და მისი საცოლე ტრეისი რობინსონი ბევერლი ჰილს ჩასულან აწგარდაცვლილი ლეგენდარული მომღერლის, როზმარი კლუნის ხსოვნის საღამოზე. კლუნი ამ ზაფხულს გარდაიცვალა კიბოთი.

# ავღანთა მზადება

ქაბულს უკვე ოლიმპიური სტადიონიც კი აქვს და ამ სტადიონის მინდორზე მთელის მონდომებით ვარჯიშობს ავღანეთის საფეხბურთო ნაკრება. თავის ისტორიაში პირველად ავღანელი ფეხბურთელები ნამდვილ საფეხბურთო შეჯიბრში, სამხრეთ აზიის თასის გათამაშებაში ჩაებმებიან. ტურნირი ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში იანვარში დაიწყება. ავღანელებს ჯგუფურ მეტოქეებად ინდონი, ლანკელნი და პაკისტანელნი ჰყავთ.



REUTERS ქაბულიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეჩაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge